645
991

2 ISSN 0321-1509
1991

# საქართველოს ქალი

## ოჯახი ღვთის შექმნილია



ღმერთი არს ჩვენთან

გვ. 1

## მსოფლიო იცნობს

გვ. 7



ნიჭი პროფე-სიონალი-ზმის სწორ გზაზე

## მოდა



გვ. 20

ფერებს აქვთ თავისი საიდუმ-ლო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

## დადგენილება

### ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის წინადადება და გატარდეს რეგისტრაციაში ჟურნალი „საქართველოს ქალი“ როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჟურნალი.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს აღნიშნული ჟურნალის გავრცელება ხელმოწერით და საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი — გ. გერიძე

21 იანვარი, 1991 წ.

ქ. თბილისი


საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
მხატვრულ-
ლიტერატურული
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ლია ანდღულაძე,
ნაზი თარგამაძე,
მაია თომაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
ნანა ოზოლაძე,
ირინე ტალიაშვილი,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი ქალიშვილთან მარინესთან ერთად; მეოთხეზე — პეიზაჟი. დავით იაკობაშვილის ფოტოები

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. მ. კოსტავას ქ. 14


## ნომერშია:




როგორი ხასიათი გაქვთ?
(ანკეტა ცოლ-ქმრისათვის

გვ. 4

რევაზ მიშველაძე
ქალი — მოთხრობა
გვ. 14

ამბავი, რომელიც ზღაპარს ჰგავს
გვ. 10





აძეთური.იძითურ
გვ. 22

ჩვენი საოჯახო კლუბი
გვ. 24

და სხვა საინტერესო მასალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯვარი ღვთის კურთხევა

## ღმერთი არს ჩვენთან

19.767



დავით იაკობაშვილის ფოტო

მორწმუნე ქრისტიანი ვიდრე ოჯახს შექმნის, სარწმუნოებრივი თვითშემეცნების გზას უნდა დაადგეს, დაინახოს და ღვთის ცნებებით განსაჯოს საკუთარი თავი, განიწმინდოს და განთავისუფლდეს მრავალი ცოდვისაგან, სულიერად გამოჯანმრთელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობლების ცოდვების გავლენის ქვეშ მოქცეული ბავშვი, როგორც პიროვნება, თავიდანვე იქნება დამახინჯებული.

წინასწარმეტყველი მეფე დავითი ფსალმუნში უფლის მიმართ აღავლენს ვედრებას „ცოდვათა სიჭაბუკისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ“. სჯულის კანონი კრძალავს ოცდაექვს წლამდე დიაკვნად კურთხევას, და ოცდაათ წლამდე გარკვეულწილად ამსუბუქებს ეპიტიმიას იმ ცოდვების წილ, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სქესობრივ მომწიფებასა და ჩამოყალიბებასთან. ახალგაზრდებს ახასიათებთ მოუთმენლობა, მაქსიმალიზმი, სიჯიუტე, ცხოვრებისეული გამოუცდელობა. ამ თვალსაზრისით ნაადრევი ქორწინება არ არის მიზანშეწონილი. მეორე მხრივ ახალგაზრდებს უფრო მეტად აწუ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ათ სიძვის გულისთქმა და ათი ულის მანძილზე თუ დარჩა უქორწინებელი, უფრო ეწყობა ხელი მრუშობისათვის.

ოჯახის შექმნა მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული, განურჩევლად იმისა, ადრე იქორწინებენ თუ გვიან. ერთი ცხადია, მამაკაცს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება. ოჯახის საფუძველია ცოლ-ქმრის ურთიერთსიყვარული, მშობლების და ეკლესიის კურთხევა და თანადგომა, შრომისმოყვარეობა და ოჯახის წევრების სულიერი სარწმუნოებრივი განათლება. სარწმუნოებრივი განათლება გულისხმობს თანხმობას ღვთის სიტყვასთან, სურვილს ღვთის მცნებით მოღვაწეობისა და გარკვეული გამოცდილების შეძენას. ხორციელი სიყვარული თავისთავად მოდის, მშობლები თავის მოვალეობას შეძლებისდაგვარად ასრულებენ, შრომისმოყვარეობა ღვთის ნიჭია და მშობლების ღვაწლია, ხოლო სარწმუნოებრივი განათლება ღვთის მადლსა და ჩვენს მოღვაწეობაზეა დამოკიდებული. ამდენად ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ჩვენს მომავალ ცხოვრებას.

რა უნდა იცოდეს მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ოჯახის, საკუთარი თავის, სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ.

ოჯახი ღვთის მიერ შექმნილ ადამიანთა ერთობაა. ამ ერთობას არღვევს მხოლოდ ცოდვა, პირველ რიგში ამპარტავნობა, ურჩობა, თვითნებურობა, ეგოიზმი. ოჯახი საწყისია საზოგადოებისა და ერისა. რა სულია ოჯახში, ის იქნება ერში და ერის მდგომარეობა კი გავლენას ახდენს ოჯახზე. ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის იმდენად მნიშვნელოვანია და საიდუმლო, რომ პავლე მოციქული მას ქრისტესა და ეკლესიის ურთიერთობას ადარებს.

ოჯახი ცალკეული პიროვნებებისაგან შესდგება, მაგრამ თვით ოჯახური ურთიერთობა პირობაა პიროვნების სრულყოფისა. ოჯახი სიყვარულით იქმნება და ოჯახური ცხოვრებით სიყვარული იზრდება. პიროვნების სრულყოფა სიყვარულის ნაყოფიერებით განიზომება. ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად, მამაკაცად და დედაკაცად არის შექმნილი. ქართული ენა ზუსტად გამოხატავს მათ ურთიერთდამოკიდებულებას — ფუძე ერთია, „კაცი", როგორც ღვთის ქმნილებები არსით ერთნი არიან, მაგრამ მამა დედით ხდება მამა და დედა ვერ იქნება მამის გარეშე დედა. სხვაობა მათ შორის პირობაა ერთობისა. მათ თანასწორუფლებიანობაზე შეიძლება მხოლოდ მათი მისიის შესრულების თვალსაზრისით ვილაპარაკოთ.

ოჯახის შექმნისას ადამიანმა უნდა გაიაზროს ის, რომ ვინც მეუღლეობა აკურთხა, მანვე შვილიერება აკურთხა და მანვე მოგვცა ჩვენ მცნებები და მათ შორის პირველი — ჭეშმარიტი ღმერთის აღიარება და მხოლოდ მისი თაყვანისცემა. ღვთის სახელი უნდა იდიდებოდეს ოჯახის კეთილგონიერი და სარწმუნოებრივი ცხოვრებით. ოჯახი მაშინ არის სჯულიერი, როდესაც მეუღლეები ყოფითი ცხოვრების საკითხებშიც სჯულით ხელმძღვანელობენ: მოიხსენიებენ და წმიდად ყოფენ მეშვიდე დღეს, ლოცვით იწყებენ და ლოცვით ამთავრებენ სამუშაო დღეს, ე. ი. ღმერთთან ერთობით და ღვთის კურთხევით ცხოვრობენ. ოჯახში აუცილებლად უნდა იყოს სახატე და ოჯახის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს საშუალება ლოცვის დროს განმარტოებისა. ლოცვა ოჯახში შეიძლება იყოს ერთობლივი და პირადი. სასურველია, რომ ერთად იკრიბებოდნენ სადილის დროს და ოჯახის უფროსმა აკურთხოს სუფრა. ასევე ერთად უნდა კითხულობდნენ ღვთის სიტყვას, ბიბლიას, უნდა იცოდნენ მისი განმარტება და შესაბამისი მაგალითებით ხელმძღვანელობდნენ ცხოვრებაში. ქრისტიანული მოძღვრება ქადაგებს: მეუღლეები წინდაწინ უნდა მოემზადონ იმისათვის, რომ იყოლიონ იმდენი შვილი, რამდენსაც უფალი მისცემს.

ქალი დედობისათვის არის შექმნილი და არა შვილის კვლისათვის. უფალი ბრძანებს: ცოლის მორჩილება პირობაა ერთობისა, მორჩილება მონობა კი არ არის, არამედ სიყვარულის აღსრულებაა. მაგრამ მორჩილება სჯულის და მცნების ფარგლებშია მხოლოდ მართალი. უწესობაში მორჩილება თანამონაწილეობას ნიშნავს. მეუღლეებმა ურთიერთნდობა უნდა გამოიჩინონ. მაშინ არცერთის თავისუფლება არ დაითრგუნება და პირადი თავისუფლება არ დაუპირისპირდება ერთობას.

სასურველია, რომ ცოლ-ქმარს ჰყავდეს ერთი სულიერი მოძღვარი. ერთი გვყავს ყველას მოძღვარი — უფალი. მაგრამ თვითეულს პირადი გზა აქვს უფლისაკენ და ამ გზას წარმართავს სულიერი მოძღვარი. ღვთის სიტყვით, მოძღვრის დარიგებით, ურთიერთსიყვარულით და მშობლების თანადგომით მეუღლეები შესძლებენ შვილების აღზრდას.

მამა გიორგი (ბამრეკელი)

თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორ-პროტოპრესვიტერი.

# მოწყალება გაიღეთ, ბატონებო!

ჩვენი ანგარიშია 000704402

ცხოვრების თავბრუდამხვევ რიტმს ნებით თუ უნებლიედ აყოლილებს თითქოს ღრმა ძილისგან გამოგარკვევს ეს ლაღადისი. თვალს მოჰკრავთ მორცხვად წავედრებულ ღიმილს და ხელი თავისით მიიწევს ჯიბისკენ.

გულმოწყალება... რაოდენ სათუთი და ბევრის დამტევია ეს სიტყვა. ჩვენს მდიდარ ქართულ ენაში ბევრია მსგავსი განუმეორებელი სიტყვა, ზოგი მათგანი არც კი ითარგმნება სხვა ენაზე და ამით კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

იყო დრო, როცა მიაჩნდათ, რომ უმუშევრები და გაჭირვებულები მხოლოდ ლპობად და დაწყევლილ კაპიტალისტურ სამყაროში იყვნენ.

საბედნიეროდ, დღეს ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. თვალი გავახილეთ. შავი და თეთრი გავარჩიეთ და ჩვენს გარშემო უამრავი გაჭირვებული, ხელმოკლე თუ უსასოო ადამიანი დავინახეთ. გაცოცხლდა თითქოს მივიწყებული საოცარი სიტყვები: გულმოწყალება და ქველმოქმედება, რომლებიც ჩვენი ერის თავისთავადობის განმსაზღვრელი ძირითადი თვისებების აღმნიშვნელი ცნებები გახლავთ.

და შეიქმნა უამრავი საქველმოქმედო ფირმა, ფონდი, ასოციაცია. თავად შეჭირვებულმა საზოგადოებამაც უხვად და უშურველად გაიღო თანხა თანამოძმეთა დასახმარებლად.

შარშანწინ მუშაობას შეუდგა საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი. მისი შექმნის მიზანია ჰუმანიზმის, გულმოწყალების, ქველმოქმედების იდეების აღორძინება და განმტკიცება. იგი მონოდებულია მატერიალური, სოციალური და სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს მარტოხელა და ნაკლებად უზრუნველყოფილ მოხუცებს, მრავალშვილიან და ხელმოკლე, ან სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ოჯახებს. კეთილ საქმეს და საკეთებელს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე!

საქართველოს ჯანმრთელობისა და მოწყალების ფონდმა ამ ხნის განმავლობაში მართლაც ბევრი კეთილი, მადლიანი, საჭირო და სასარგებლო საქმე ითავა. სწორედ ამასთან დაკავშირებით შევხვდით ფონდის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს თეიმურაზ თოფურიას და ვთხოვეთ გაეცნო ფონდის საქმიანობა.

— საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი თვითმმართველი ორგანოა, — თქვა ბატონმა თეიმურაზმა, — მისი სახსრების დაგროვების ერთ-ერთი წყაროა შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების ნებაყოფლობითი ფულადი შესატანები და გადარიცხვები.

ამას გარდა, ფონდთან შეიქმნა ხალხური მედიცინის ასოციაცია, რომლის ძირითადი სამუშაო პრინციპებია ხალხში გაფანტული სამკურნალო საშუალებების შეგროვება, მეცნიერული დამუშავება და ხელშეწყობა მათი სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვისათვის.

ფონდის მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებაა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში შესაბამისი განყოფილებებისა და კომისიების შექმნა. უკვე მუშაობს აჭარის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის განყოფილებები.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა ფულადი დახმარება აღმოუჩინა 3700 ადამიანს, შეიძინა და საბავშვო სახლებს, სკოლა-ინტერნატებსა და მოხუცთა თავშესაფრებს გადასცა 111.5 ათასი მანეთის თეთრეული და 32.244 მანეთის წამლები.

დავეხმარეთ რვა ავადმყოფს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ცნობილ სამედიცინო დაწესებულებებში გაგზავნასა და მკურნალობაში, რაზეც 40 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ხელმოკლე სტუდენტებს ჩვენი ფონდიდან დაენიშნათ სტიპენდია 100 მანეთი. დახმარება გავუწიეთ ცხრა აპრილს დაღუპულთა ოჯახებს, საგზურები შევიძინეთ ავღანეთის ომის მონაწილეთათვის, ხოლო ავღანეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს გამოუყავით 19 ათასი მანეთი. მაგრამ, ჩვენი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დაზღვეული გარკვეული ნაკლოვანებებისაგან:

ვერ შევძელით ყველა რაიონში შეგვექმნა ფონდის ხელშემწყობი კომისიები, ქაღალდის ნაკლებობის გამო ჯერჯერობით ვერ გამოვეცით ფონდის გაზეთი „თანადგომა", არა გვაქვს სათანადო მატერიალური ბაზა, არ გვყოფნის სამუშაო ფართობი. იმედია, რესპუბლიკის ახალი პარლამენტი გაითვალისწინებს ამას და ხელს შეგვიწყობს, რათა ფონდმა ნორმალურად იმუშაოს.




* * *

— გაიღეთ მოწყალება, ბატონებო!— და იფიქრეთ, როგორ უჭირს ჩვენს თანამოძმეს, როგორ სჭირდება სითბო, სიყვარული, თანადგომა, ლუკმა პური და სულის პური, პური არსობისა.

როგორი ბედნიერიც უნდა იყო, უნდა შეჩერდე ამ სასოწარკვეთილი მზერისა და აცახცახებული ხელის შემყურე, უნდა შეჩერდე, ჯერ სულში, მერე კი თვალებში ჩახედო ხელგამოწვდილს.

ისინი ჩვენ გველიან, ჩვენი სიკეთე სჭირდებათ, რომ მიხვდნენ მარტო აღარ არიან, რომ ჩვენ მათთან ვართ!

„დიდბუნებოვნება ცალკე ადამიანისა თუ მთელის ერის, მის მიერ გატანილ მადლის მეტნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის თუ მთელის ერის კაცურ-კაცობისა, მისის შინაგანი სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულობისა.

მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თითოეულ ადამიანისას, ისეც მთელი ერისას და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა". — ბრძნულად შეგვახსენებს წმინდა ილია მართალი.

ირინე კუკავა

ჩვენი ანგარიშია
000704402

გულმოწყალება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანკეტა

# როგორი ხასიათი გაქვთ?



გთავაზობთ ფრანგი ფსიქოლოგების მიერ შედგენილ ანკეტას, რომელიც დაგეხმარებათ საკუთარი ხასიათის გარკვევაში. ანკეტაში 50 შეკითხვაა, თითოეულზე პასუხის სამი ვარიანტით. ისინი გაარკვევენ ძლიერად, საშუალოდ თუ სუსტად არის განვითარებული თქვენს ხასიათში ესა თუ ის თვისება. გრაფაში „ქულები“. კითხვას მიუწერეთ თქვენთვის სასურველი ციფრი. შეფასების სისტემა ათბალიანია.

როდესაც ყველა შეკითხვას უპასუხებთ, უნდა დაიწყოთ გამოთვლა. ყოველი ათი შეკითხვის რიცხვითი ჯამი უნდა გაყოთ 10-ზე. მიიღებთ თქვენი ხასიათის აღნიშნული თვისების (მაგალითად აღგზნებადობის) ხარისხს. ვთქვათ, თუ თქვენი აღგზნებადობა გაძლევთ საშუალოდ 7-ს, აშკარად აღგზნებადი ხასიათი გქონიათ. თუ აქტიურობა გაძლევთ 3-ს, ეს ნიშნავს, რომ არც თუ ისე აქტიური ხასიათი გაქვთ.

იმ განყოფილებაში, სადაც 5 შეკითხვაა, ქულების ჯამს ყოფთ 5-ზე. ანკეტას ცოლ-ქმარი ცალცალკე ავსებს. დიდი განსხვავების შემთხვევაში ოჯახური ჰარმონიის მისაღწევად, მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ხასიათის იმ მხარეზე მუშაობას, რაც ხშირად ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტის საფუძველია.

ნიმუში:

3) ცვალებადი განწყობა გაქვთ?

— მყარი?

— თუ ასე თუ ისე მყარი? — 5

— თუ ძალიან მყარი?

მე-3 პუნქტის სამივე ამ კითხვას უპასუხებთ ერთი, თქვენი აზრით უფრო ადექვატური, ციფრით.

ჯერ უნდა მოიფიქროთ ამ სამი ვარიანტიდან რომელს ამოირჩევთ საპასუხოდ, ხოლო შემდეგ რა ციფრით გამოხატავთ პასუხს. ნიმუშში პასუხად ავირჩიეთ „ასე თუ ისე მყარი“ და მივუწერეთ ციფრი 5.

ამგვარად ციფრით გამოსახული ხასიათის ყველა შტრიხი ქმნის ხასიათის ფორმულას, რომლის სიზუსტე პასუხების სიზუსტეზეა დამოკიდებული.

## I ალგზნებადობა

ქულები: ცოლი | ქმარი

1. გიჩქარდებათ თუ არა გულისცემა ან კრთებით თუ არა უეცარ ხმაურზე? ხართ თუ არ ძალზე მგრძნობიარე? ნერვიულობთ თუ არა ხელმძღვანელებთან ჩვეულებრივი, არც თუ მაინცდამაინც კონფლიქტური შემთხვევების დროს?

— საშუალოდ ნერვიულობთ და ისიც მხოლოდ არაჩვეულებრივი მოვლენებისას?

— ნებისმიერ პირობებში თითქმის ყოველთვის თავშეკავებული ხართ?

2. ნერვიულობთ თუ არა, როცა ამჩნევთ, რომ შეურაცხყოფას გაყენებენ ან გაბრაზებენ?

— თუ მხოლოდ სერიოზული დაბრკოლებანი გაღელვებენ?

— თუ ყოველთვის ინარჩუნებთ სიმშვიდეს?

3. ცვალებადი განწყობილება გაქვთ?

— თუ ასე თუ ისე მყარი?

— თუ ძალიან მყარი?

4. იოლად ბრაზდებით?

— თუ მხოლოდ სერიოზული მიზეზები გაბრაზებთ?

— თუ ყოველთვის აღუშფოთებელი ხართ?

5. ნერვიულობთ თუ არა ახალი საქმის დაწყებისას?

ექიმთან მისვლისას? გრძნობთ თუ არა ამ დროს შიშს, თუნდაც მცირეოდენს?

— თუ მხოლოდ სერიოზული მიზეზები განერვიულებთ?

— თუ საერთოდ არ ნერვიულობთ?

ქულები: ცოლი | ქმარი

6. განიცდით თუ არა კინოში ან თეატრში ტრაგიკულ სცენებს?

— თუ შეგიძლიათ ეს ემოციები დაძლიოთ?

— თუ ეს ნაკლებად გაღელვებთ?

7. ხშირად იცით აღფრთოვანება?

— თუ ძალზე იშვიათად?

— თუ მხოლოდ განსაკუთრებული მიზეზების გამო?

8. იოლად გამოხატავთ თქვენს გრძნობებს? რეაგირებთ თუ არა მოვლენებზე აქტიურად?

ხშირად იყენებთ სიტყვებს „გაუგონარია, განსაცვიფრებელია, გასაოცარია“?

— თუ ეს ხშირად არ ხდება, არამედ რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევებში?

— თუ ძალზე იშვიათად ხდება ასე?

9. იოლად წითლდებით ან ფერს იოლად კარგავთ?

— თუ არასოდეს?

— თუ მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს?

10. შეპყრობილი ხართ შიშებით, განგაშის და ხიფათის გრძნობით (იმ შემთხვევაშიც კი, როცა შეგიძლიათ ეს გრძნობები მოთოკოთ)?

— თუ არა?

— თუ მხოლოდ არაჩვეულებრივი, დრამატული სიტუაციებისას?



თქვენს მიერ აღნიშნულ ქულათა ჯამი, გაყოფილი 10-ზე უდრის თქვენი ხასიათის აღგზნებადობის ხარისხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II მგრძნობელობის აქტივობა

ქულები: ცოლი, ქმარი

1. გიჩნდებათ თუ არა ყოველთვის სურვილი სამსახურის შემდეგ აკეთოთ სხვა საქმეები?
— თუ არასოდეს?
— თუ ხან კი და ხან არა?

2. ასრულებთ თუ არა თქვენს სამუშაოს სიამოვნებით, გატაცებით?
— თუ მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით?
— თუ ნახევრად მოვალეობისთვის, ნახევრად სიამოვნებისთვისაც?

3. შეგიძლიათ თუ არა ყველა ძნელი საქმე შეასრულოთ ერთბაშად და ყველაზე უწინარესად?
— თუ გადადებთ ხოლმე?
— თუ ასრულებთ, მაგრამ დაღლილი და უსიამოვნოდ?

4. გაგულიანებთ თუ არა წინააღმდეგობები?
— თუ ენთუზიაზმს გიქრობენ, საქმეს გწყვეტენ?
— თუ ნაწილობრივ გაგულიანებენ, ნაწილობრივ არა?

5. სწრაფად პოულობთ თუ არა გამოსავალს უსიამოვნო მდგომარეობიდან? (მატარებელზე დაგვიანება, რამის დაზიანება, ავარია, რამის ხელიდან გაშვება? გთვლიან თუ არა მოხერხებულად?
— თუ თქვენ საქმეში გამოცდილი და გონიერი, მაინც იბნევით?
— თუ რაღაც საშუალო მათ შორის?

6. თუ თქვენს თვალწინ ჩხუბობენ ან კამათობენ, ძალიან გინდათ თუ არა ჩაერიოთ?
— თუ შორიდან უყურებთ ან სულაც მიდიხართ იქიდან?
— თუ მეტ-ნაკლებად იოლად შეგიძლიათ თავი შეიკავოთ ჩარევისაგან?

7. თუ თქვენს წინ ახალი და რთული ამოცანა დგას, მაგრამ დღე იქნება ძნელი და დაძაბული, ხართ თუ არა კმაყოფილი გულის სიღრმეში?
— თუ გულის სიღრმეში ნერვიულობთ, არც თუ ისე კმაყოფილი ხართ?
— თუ წყვეტთ ამ ამოცანას, მაგრამ ცოტას მაინც წუხდებით?

8. განსაკუთრებით აფასებთ ადამიანში სამუშაოს გზნებით შესრულებას?
— თუ ამაზე არ გიფიქრიათ?
— თუ ეს ჩვეულებრივი თვისებაა თქვენთვის?

9. სიამოვნებით დგებით დილით?
— თუ ლოგინში კოტრიალი გიყვართ?
— თუ ხან ასე, ხან ისე?

10. ყველაზე მეტად გიყვართ თუ არა წიგნები ან ფილმები, სადაც დაძაბული მოქმედებაა?
— თუ წყნარი, სასიამოვნო თხრობა გიტაცებთ?
— თუ ისიც და ისიც?

**ქულების საერთო ჯამი, გაყოფილი ათზე, თქვენი ხასიათის ამ თვისების — მგრძნობელობის ხარისხის მაჩვენებელია.**

## III შეგრძნებადობის ხანგრძლივობა

ქულები: ცოლი, ქმარი

1. ისწრაფვით თუ არა შორეული მიზნებისაკენ, ფიქრობთ თქვენს მომავალ ცხოვრებაზე, თქვენი ახლობლებისა და ბავშვების მომავალზე?
— თუ სწრაფი შედეგები გიტაცებთ: დღეს, ხვალ?
— თუ გარემოებების მიხედვით, ხან ერთი, ხან მეორე?

2. ვინმეზე ნაწყენი ძნელად ურიგდებით თუ არა მას?
— ადვილად?
— თუ რამდენიმე ხნის შემდეგ?

3. ყოველთვის იცავთ თუ არა თქვენს პრინციპებს?
— თუ მოქმედებთ მდგომარეობის მიხედვით?
— თუ ცდილობთ პრინციპები გარემოებებს შეუთანხმოთ?

4. გეგმავთ თუ არა ცხოვრებას? გაქვთ თუ არა ასე თუ ისე ზუსტი გრაფიკი თქვენი ცხოვრებისა?
— თუ თქვენ ის არ გჭირდებათ?
— თუ საშუალო ორივეს შორის?

5. ძალიან გიყვართ ძველი მოგონებანი, თვისებები, გირჩევნიათ ისევ ის ქალაქი, სახლი, ბინა, ისევ ისეთი დასვენება, რაც ადრე?
— თუ უფრო მეტად გიყვართ სიახლეები, მოულოდნელობები, ცვლილებები?

6. ერთგულნი ხართ ბავშვობის მეგობრების, საერთოდ მეგობრობაში, სიმპათიებში?
— თუ ცივდება თქვენი გრძნობები რამოდენიმე ხნის შემდეგ?
— თუ საშუალოდ იქცევით?

7. შეჩვეული ხართ თქვენს ნივთებს? მათ განლაგებას სახლში?
— თუ გიყვართ მათი გადალაგება, ბინის სახის შეცვლა, ველოსიპედი და ა. შ.?
— თუ საშუალოდ?

8. რა გაინტერესებთ ახალ აპარატში ან მანქანაში ყველაზე მეტად — მათი მოქმედების პრინციპი, დანიშნულება თუ მექანიზმი?
— თუ თავად ისინი გაინტერესებენ — მანქანა, აპარატი?
— თუ ისიც და ისიც?

9. ეყრდნობით თუ არა მხოლოდ თქვენს მოსაზრებებს, ტრადიციებს?
— თუ იზიარებთ სხვის აზრებსაც და ახალ ტრადიციებსაც?
— თუ უფრო მეტად ახალი მოდები, მოვლენები გიტაცებთ?

10. ძლიერი ნერვიულობის, დარდის შემდეგ ძნელად მშვიდდებით, დიდხანს არ შეგიძლიათ იცხოვროთ ჩვეულებრივად?
— თუ სწრაფად უბრუნდებით ჩვეულ ცხოვრებას, ჩვეულ განწყობას?
— თუ საშუალოდ?

**ქულათა ჯამი გაყოფილი ათზე უდრის თქვენი მგრძნობელობის ხანგრძლივობის ხარისხს.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## IV. ალქმის საზღვრები

ქულები
ცოლი | ქმარი

1. როდესაც მუშაობთ (ან წერილს წერთ) გჭირდებათ თუ არა სრული სიმშვიდე და სიწყნარე?

— თუ თავისუფლად შეგიძლიათ ილაპარაკოთ ამ დროს?

— თუ, გარეშე ხმები კი გიშლიან, მაგრამ წერილის დაწერა მაინც შეგიძლიათ?

2. გიზიდავთ თუ არა გაურკვევლობა, ბურუსით მოცული, ზოგადი?

— თუ ისწრაფვით სიზუსტისკენ, გარკვეულობისაკენ?

— თუ სიტუაციის მიხედვით, ხან ერთისკენ, ხან მეორისკენ?

3. იმისთვის, რომ გაიგოთ ესა თუ ის შეკითხვა, გაერკვეთ ამა თუ იმ მანქანაში და ა. შ. გყოფნით თუ არა ზოგადი განმარტება, რომელსაც თქვენ სწრაფად ითვისებთ?

—თუ დეტალური მითითება გჭირდებათ, რომელსაც ნელ-ნელა არკვევთ?

— თუ ხან ასე, ხან ისე, კითხვის მიხედვით?

ქულები
ცოლი | ქმარი

4. ხდება თუ არა სამუშაო თქვენთვის უინტერესო როცა მთავარი გაკეთებულია, და მხოლოდ ცოტაოდა რჩება?

— თუ ის თავიდან ბოლომდე გაინტერესებთ?

— თუ თქვენ ამ ორ პოლუსს შორის ხართ?

5. თვლით თუ არა, რომ მთავარია წარმატება საქმეში, მიუხედავად წესებისა და ინსტრუქციებისა?

—თუ თქვენთვის წესები კანონია?

—თუ წესებს პატივი უნდა სცე, მაგრამ მათზე გადაყოლა არ ღირს, და თუ საჭიროა, შეცვლაც შეიძლება?

**ქულათა ჯამი ამ შემთხვევაში უნდა გაყოთ 5-ზე (რადგან 5 შეკითხვაა) და მიღებული რიცხვი აქ აღნიშნავს თქვენი ხასიათის ამ თვისების — ალქმის უნარის ხარისხს.**

## V მარსი (მისწრაფება მეტოქეობისკენ და თვითდაჯერებულობისკენ) თუ ვენერა (მისწრაფება შეთანხმებისკენ)

ქულები
ცოლი | ქმარი

1. თუ წუთი-წუთზე წარმოიქმნება კონფლიქტი (ან ცხარე კამათი) თქვენი მონაწილეობით, გინდებათ თუ არა მაშინვე ჩაერიოთ მასში?

— თუ შეგიძლიათ დაუთმოთ?

— თუ ხასიათზეა დამოკიდებული?

2. თქვენ მოქმედებთ ან საუბრობთ და არ ფიქრობთ იმაზე, თუ „რას იტყვის ხალხი“?

— თუ გირჩევნიათ იყოთ ყველასთან კარგი?

— თუ საშუალო გზას ირჩევთ?

3. სხვებს არ ენდობით?

— თუ ენდობით?

— თუ ხან ენდობით და ხან არა?

ქულები
ცოლი | ქმარი

4. დარწმუნებული ხართ საკუთარ თავში, საკუთარ გადაწყვეტილებებში?

— თუ იმისთვის, რომ რამე გადაწყვიტოთ, გამხნევება გჭირდებათ?

— თუ ხან ასე, ხან ისე?

5. თუ ვინმე არ გიყვართ, შეგიძლიათ თუ არა, რომ მასთან იყოთ თავაზიანი, შეაქოთ ის?

— თუ ეს არ შეგიძლიათ?

— თუ ისე რა?

**ქულათა ჯამი, გაყოფილი ხუთზე უდრის ხასიათის მშვიდობიანობისა და ჩხუბისმოყვარულობის ხარისხს.**

## VI. მგრძნობელობის სიმტკიცე და სილბო

ქულები
ცოლი | ქმარი

1. ძალიან გიყვართ ბავშვები? მათთან თამაში, მათი კოცნა?

— თუ ისინი გაღიზიანებენ?

— თუ გიყვართ, მაგრამ როცა შორს არიან?

2. თუ თქვენ შეჩვეული ხართ ადამიანს, გინდებათ თუ არა ეს გრძნობა გამოხატოთ საალერსო სიტყვებით?

— თუ გირჩევნიათ საქმით გამოხატოთ, რადგან საალერსო სიტყვები მოთაფლვად გეჩვენებათ?

— თუ ხან ერთი, ხან მეორე?

3. გიყვართ თუ არა თბილი ჰაერი, რბილი შუქი, ნაზი მუსიკა?

— თუ გირჩევნიათ, რომ ყველაფერი თქვენს გარშემო — შუქიც, ამინდიც, გარემოებაც იყოს ნათელი, მკვეთრი, მხნე?

— თუ ხან ერთი, ხან მეორე?

ქულები
ცოლი | ქმარი

4. გიყვართ ალერსი — ფიზიკური და მორალური, გასცემთ და იღებთ მას სიამოვნებით?

— თუ ეს გეჩვენებათ არა საჭიროდ, უსიამოვნოდაც კი?

— თუ მოგწონთ ნორმის ფარგლებში?

5. გიყვართ ცხოველები, წუხართ თუ არა იმაზე, რას გრძნობენ ისინი.

— თუ არაფერს უშავებთ, მაგრამ გულგრილნი ხართ?

— თუ საშუალოდ?

**ქულათა ჯამი იყოფა 5-ზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქულები
ცოლი | ქმარი

1, თავმოყვარე ხართ? ძალიან გინდათ გაიუმჯობესოთ თქვენი მდგომარეობა, ან გაზარდოთ ქონება, ან უფრო მეტი გავლენა იქონიოთ სხვებზე?

— თუ თვლით, რომ ეს არც ისე მთავარია?

— თუ რაღაც საშუალო?

2. ეჭვიანი ხართ მეგობრობაში?

— თუ ეჭვი თქვენთვის უცნობია?

— თუ იშვიათად ეჭვიანობთ?

3. გსიამოვნებთ თუ არა, როდესაც გეძლევათ შესაძლებლობა ილაპარაკოთ თქვენს მიღწევებზე და უფლებებზე?

— თუ გირჩევნიათ მოიცადოთ, სანამ სხვები არ მოგანიჭებენ კუთვნილს?

— თუ თქვენ იცავთ საკუთარ უფლებებს, მაგრამ არც თუ ისე მყარად?

ქულები
ცოლი | ქმარი

4. ძალიან გიტაცებთ წარმატებები (სპორტში, საქმეებში, საერთოდ ცხოვრებაში)?

— თუ ეს არ გაღელვებთ?

— თუ წარმატებებზე ზრუნვა არ მიგაჩნიათ უმთავრესად?

5. აენთებით ხოლმე, თუნდაც ცოტათი, როდესაც თავს ესხმიან თქვენს ფასეულობებს— სულიერს ან ფიზიკურს?

— თუ ადვილად თმობთ მათ ნაწილს?

— თუ ისე რა?

**ქულათა ჯამი, გაყოფილი ხუთზე უდრის თქვენი ნერვული პროცესების დაკმაყოფილების (დაუკმაყოფილებლობის) ხარისხს.**

**თუ ქულათა ჯამი 5-ზე მეტია — დაუკმაყოფილებელია, 5-ზე ნაკლები — დაკმაყოფილებული.**

თარგმნა **ნათია გვასალიამ**

# მსოფლიო იცნობს



სურათზე: ალექსანდრე კორსანტია მეუღლე ნესთან და პატარა ნიკოლოზთან ერთად.

თენგიზ ფურცხვანიძის ფოტო.

ბავშვობის გატაცება — ავიაკონსტრუქტორობის სურვილი იქამდე გაჰყვა, ვიდრე ცნობილ ქართველ პიანისტსა და შესანიშნავ პედაგოგს თენგიზ ამირეჯიბს შეხვდებოდა. მისმა პირველივე გაკვეთილმა გადააწყვეტინა ალექსანდრე კორსანტიას სერიოზულად ეფიქრა მუსიკაზე. ასე დაიწყო მასწავლებლისა და მოწაფის ორმხრივი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც თავდაუზოგავ შრომაში გამოიხატა. და თუ დღეს ქართულ პიანისტურ სკოლას ჰყავს უაღრესად არტისტული ბუნების მიმზიდველი, ინტელექტუალური პიანისტი, ეს უწინარესად თენგიზ ამირეჯიბის დამსახურებაა, რომლის ნაყოფიერმა პედაგოგიურმა მეთოდებმა ჭეშმარიტი ნიჭი პროფესიონალიზმის სწორ გზაზე დააყენა.

რომანტიკოს პიანისტს, თავისი პედაგოგის მსგავსად, განსაკუთრებით უყვარს მოცარტი და შოპენი. მას შემდეგ, რაც ალექსანდრე კორსანტიამ ამ ორი წლის წინათ ავსტრალიაში, სიდნეის პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე უმაღლესი შეფასება მიიღო, უმალ მიიპყრო სხვადასხვა ქვეყნის მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა სიამოვნებით იწვევს მას საგასტროლოდ. პროფესიული კრიტიკოსები ხაზს უსვამენ მის ელეგანტურობას, დიდ საშემსრულებლო კულტურას, ვირტუოზობას.

ახლა ალექსანდრე ასპირანტურაში სწავლობს, ამზადებს ახალ საკონცერტო პროგრამებს, ქართველი მსმენელიც მოუთმენლად მოელის ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრას.

**რუსუდან მუხაძე**



რუბრიკას უძღვება
ვერა ბიუნაშვილი



# დეფი- ციტი ალზრდის სფეროში

მომავალი თაობის ალზრდაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კინოს. კინო ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა თავისი ავ-კარგით. კინოხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშების გვერდით, რომლებიც აკეთილშობილებს ნორჩ სულს. ჩვენი ეკრანები ნალექა დაბალხარისხოვანმა ძალადობისაკენ მომნოდებელმა და შეუფარავმა ეროტიკამ, თითქმის პორნოგრაფიამ. ალმზრდელთა მოვალეობა სწორედ ის არის, გამოავლინონ მაქსიმალური ტაქტი და გონიერება, რათა უნარიანად უხელმძღვანელონ ჩვენი შვილების კინოთი დაინტერესებას და სწორად წარმართონ ცხოვრებასა და ზნეობრივ ფასეულობებზე ის წარმოდგენები, რასაც ჩამოუყალიბებს ბავშვს ეკრანი. თუმცა, სულიერი ძალების იმ წყაროს, რომელსაც „საბავშვო კინო" ჰქვია და ესოდენ აუცილებელია თითოეული მოზარდისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა.

კინოსტუდია „ქართული ფილმის" რამდენიმე რეჟისორს ეყო ბავშვებისათვის მხატვრული ფილმების შექმნის გამბედაობა.

ბოლო ათი წლის საბავშვო კინემატოგრაფზე საუბარი მინდა დავიწყო გია მატარაძის ფილმით „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე", რომელიც ჭანგბადის ყლუპად იქცა არა მხოლოდ მოზარდებისათვის, არამედ უფროსებისთვისაც. 1981 წელს გადალებული ეს საურათი მრავალი ჯილდოთი აღინიშნა: ფესტივალის მთავარი პრიზი, პრიზი საუკეთესო სცენარისათვის (სცენარის ავტორები ამირან ჭიჭინაძე და გია მატარაძე), პრიზი გია მატარაძეს საუკეთესო რეჟისურისათვის. პრიზი ბავშვის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ნათია კორკოტაშვილს და ა. შ.

უნდა გვეფიქრა, რომ პრესტიჟულ კინოფესტივალებზე ფართო აღიარების შემდეგ რეჟისორი გია მატარაძე გააგრძელებდა საბავშვო კინოში მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, საბავშვო ფილმით მოპოვებულ დაფნას ამჯობინა „დიდების" კინოში ეცადა ბედი, თუმცა, „შვიდ პატარა მოთხრობაზე" მნიშვნელოვანი თითქმის არ შეუქმნია.

ბიძინა რაჭველიშვილს, ფილმის — „ლომა — დავიწყებული მეგობარი", დამდგმელ რეჟისორს, პირდაპირ უნდა ვთქვათ, გაუმართლა — ლიტერატურული პირველწყარო (მწერალ გივი ბუთხუზის მოთხრობა), რასაც მან ყურადღება მიაქცია, ბავშვებისათვის იყო გამიზნული. ფილმი აშკარად კარგი გამოვიდა და ლენინგრადის XVI საერთაშორისო კინოფესტივალზე 1983 წელს მაღალი შეფასება — მთავარი პრიზი და დიპლომი დაიმსახურა, სურათმა ასევე მიიღო საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის პრიზი 1985 წელს. წარმატებით ფრთაშესხმულმა ბ. რაჭველიშვილმა გადაწყვიტა გაეგრძელებინა მოთხრობა ადამიანის ოთხფეხა მეგობარზე და ამჯერად მწერალ ნუგზარ შატაიძესთან ერთად დაწერა სცენარი „ლომა ქალაქში", მაგრამ... „დავიწყებული მეგობრის" ახალმა ეკრანიზაციამ მის შემქმნელებს და, ალბათ, ბავშვებსაც განსაკუთრებული სიხარული ვერ მოუტანა. ბიძინა რაჭველიშვილმაც იმ დღიდან შეწყვიტა საბავშვო კინოში მუშაობა.

„ქართულ ფილმში" შეიქმნა, აგრეთვე, რეჟისორ დათო ჯანელიძის მშვენიერი ფილმი „დედუნა" და პავლე ჩარკვიანის „ზოგი ქირი მარგებელია", თემურ ფალავანდიშვილის „ჯადოსნური ღამე", ოთარ კობერიძის „სიბრძნის ანბანი", რომლებმაც პრესტიჟული ფესტივალების პრიზები და ჯილდოები მოიპოვეს. უნდა აღინიშნოს კიდევ რამდენიმე სურათი.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში" საბავშვო თემატიკისადმი ერთგულებით გამოირჩევა რეჟისორი ნელი ნენოვა, რომელიც თავის მეუღლესთან, რეჟისორ გენო წულაიასთან ერთად უკვე საკმაო ხანია თავდადებით ემსახურება ბავშვებს. ეკრანიდან მოგვითხრობს თანამედროვე მოზარდებზე, ერთმანეთთან, მშობლებთან, პედაგოგებთან, გარემოსთან მათი ურთიერთობის სირთულეებზე. აქ არ მოვყვებით ნელი ნენოვასა და გენო წულაიას ფილმების ჯილდოების ჩამოთვლას, ისინი საკმაოდ მნიშვნელოვანი და პრესტიჟულია. მხოლოდ ვიტყვით, რომ მათი ფილმები — „ცეროდენა რაინდები", „ბიჭები იასამნის ქუჩიდან", „ჩიორა" დიდი ალმზრდელობითი ფუნქციის მატარებელია. თუ „ჩიორა" სახლიდან გაპარულ შეყვარებულებზე მოგვითხრობს, ახალი სურათის — „მეტიჩარას" თემაა ორი სამყაროს, ცხოვრების ორი განსხვავებული ტიპის შეჯახება. ერთია ხელოვნური, პრაგმატულ მისწრაფებებს დამორჩილებული სამყარო, მეორე — ბუნებრივი, სიკეთით სავსე. მათი ურთიერთობა ზნეობრივად მიულებელია.

რეჟისორი ნელი ნენოვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირთან არსებული საბავშვო კინოს სექციის თავმჯდომარეც გახლავთ. კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ „არ შეიძლება ალზრდის შედეგები გამოვყოთ ალმზრდელის პიროვნებისაგან, აქ საბავშვო ფილმების შემქმნელი რეჟისორიც იგულისხმება. მანამ, სანამ ამას ღრმად არ გავიაზრებთ, ოჯახი, სკოლა თუ კინემატოგრაფი, ვერ შესძლებს ჭეშმარიტად მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნას, ალზრდაში დაშვებული წუნი კი ყველაზე საშინელია საზოგადოებისათვის".

რა შეგვიძლია შევთავაზოთ ბავშვთა და მოზარდთა კინოაუდიტორიას ქართულ ენაზე? ეროვნულ მასალაზე გადალებული ბევრი საბავშვო ფილმი გვაქვს? სად გაქრა საბავშვო ქრონიკა? ბევრი იქმნება საბავშვო ნახატი და თოჯინური ფილმი? ვერც ერთ ამ კითხვას სამწუხაროდ დადებით პასუხს ვერ გავცემთ. ტელევიზიის საბავშვო პროგრამების რედაქციაც ძნელ მდგომარეობაშია — მწვავედ იგრძნობა ქართული მულტიპლიკაციური ფილმების ნაკლებობა. საბავშვო კინოს საკითხზე მივმართეთ კინოსტუდია „მემატიანეს" ღვაწლმოსილ რეჟისორს, დოკუმენტური კინოს ვეტერანს ბატონ შალვა ჩაგუნავას. აი, რა გვითხრა მან:

— ქართული დოკუმენტური კინოს მუშაკები დიდ ვალში ვართ ბავშვების წინაშე. წლების მანძილზე საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში იყო საბავშვო ფილმების პერიოდული გამოცემები. საინტერესო სიუჟეტები ეძღვნებოდა საბავშვო თემებს. საბავშვო ფილმებს იღებდნენ კინოდოკუმენტალისტები ალექსანდრე მამულაშვილი, ლუბა გოშაძე, ჯემალ ჭიჭინაძე, ჯემალ წერეთელი, ლერი მიხანაშვილი. საბავშვო თემატიკაზე დოკუმენტური ფილმები შექმნეს რეზო ჩხეიძემ, თენგიზ აბულაძემ, ნათია ამირეჯიბმა.

აუცილებლად უნდა განახლდეს კინემატოგრაფიის მივიწყებული უბანი, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საბავშვო ფილმების წარმოებას.

რას იზამ, უკვე მივეჩვიეთ დეფიციტს, მაგრამ კინო ხორცი და სიგარეტი როდია. დამღუპველია დეფიციტი ალზრდის სფეროში. კინო იპყრობს ჩვენი ბავშვების არა მხოლოდ დროს, მათ გონებასაც, დაკავშირებულია მათ სულიერ ფორმირებასთან, ამიტომ ქართული საბავშვო და ახალგაზრდული ფილმის დეფიციტის პრობლემა მეტად მნიშვნელოვნად და აქტუალურად მიმაჩნია.

და ბოლოს, ჩვენი ბავშვები, როგორც წესი, უყურებენ რუსულად გახმოვანებულ უცხოურ ფილმებს, და იშვიათად, ქართულად **გახმოვანებულ** რუსულ ფილმებსაც. **იმაზეც უნდა** ვიფიქროთ, რომ უცხოური **კინო პროდუქცია** ქართულად პირველ**წყაროდან,** ორიგინალის ენიდან **ვთარგმნოთ.**







# იქ, ისრაელში

მქონდა ბედნიერება, რომ სტუმრად წავსულიყავი ისრაელში. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს უძველესი, თან ახალგაზრდა ქვეყანა სავსე დამხვდა სიკეთით, სილამაზითა და სიუხვით. გული ამევსო სიხარულით და კიდევ იმან ამაღელვა, რომ აქ სხვადასხვა ქვეყნიდან მოსულთაგან ჩემი საყვარელი საქართველოდან მოსული ებრაელობა, როგორც უცხო ყვავილი, ისე გამოირჩევა: აქ ჰყავის ტრადიციული ქართული კულტურა ქართულ ენაზე და იგი თავისებურ სურნელს აძლევს მას. უკვე რამდენიმე წელია არსებობს რუსთაველის საზოგადოება, დგას მეგობრობის მემორიალი იმ საუკუნოვანი ამაგისათვის, რაც საქართველომ გასწია სამშობლოდან გადმოხვეწილი, განაწამები ებრაელებისათვის. ძალუმად ვიგრძენი, რომ ორი სამშობლოს შვილი ვიყავი და ორივე თანაბრად მტკიოდა, თანაბრად მიხაროდა. ბევრ ოჯახში გახლდით. მოვინახულე თანაკლასელები, სიყრმის მეგობრები. მათ არ დაუკარგავთ ქართული სისადავე, ქართული ტრადიციები. თვით ოჯახების მორთულობაც ჩვენებურია. შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს ქართული პეიზაჟებით დამშვენებული სურათები. საპატიო ადგილზე ძევს „ვეფხისტყაოსანი“, „დედა ენა“, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის თუ კონსტანტინეს ტომები. მათთვის ყველაზე სასიხარულოა ქართულ წიგნს თუ მიუტან საჩუქრად, ხოლო სუფრას კვლავაც ამშვენებს საცივი, ლობიო, მჭადი, ხაჭაპური...

რა დასამალია და, ისინი ჩვენზე ბევრად უკეთესად ცხოვრობენ. იქ არ იციან, რა არის რიგი. იქაურ მაღაზიებში პროდუქტების ისეთი ფართო არჩევანი და სიუხვეა, რომ რა გინდა სულო და გულო! სახლში რომც არაფერი გქონდეს, თხუთმეტ წუთში იმდენ მზა საჭმელ-სასმელს შეიძენ და 40 კაცისათვის ისეთ სუფრას გააწყობ, ჩიტის რძე არ დააკლდება. ჩვენი ქალები ქართული ტრადიციის თანახმად, მაინც თვითონ ხარშავენ, თვითონ აცხობენ და ისე გიმასპინძლდებიან.

რა პრობლემები აქვთ? აქედან წასულებს ცხოვრების ისეთი პირობები ხვდებათ, საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონდეთ. მათი მთავარი ტკივილი საქართველოს მონატრებაა, განსაკუთრებით ახლად ჩასულთათვის, როცა ერთბაშად ხვდებიან მათთვის უცხო სამყაროში, მერე კი თანდათან ეჩვევიან ყველაფერს.

მუშაობით ჩვენი ქალებიდან თითქმის ყველა მუშაობს. აქვთ სოლიდური ხელფასი. საერთოდ ოჯახში თუ ორი მუშაობს, ერთის ნამუშევარი სახარჯოდ აქვთ განკუთვნილი, მეორისას, ასე ვთქვათ „შავი დღისთვის“ ინახავენ. ჩემი მეგობარი ქალი უბრალო მუშად მუშაობს და სახლში აკითხავს ფირმის სპეციალური მანქანა, რომ სამსახურში წაიყვანოს. საერთოდ, აქ ყველა, ვისაც საკუთარი მანქანა არა ჰყავს, ასე დაჰყავთ სამსახურში. ქალს იმდენი დრო რჩება, რომ თავისუფლად ასწრებს საკუთარ თავს კარგად მიხედოს...

აყვავებულია ისრაელი. ებრაელი ხალხი სამშობლოსათვის არაფერს ზოგავს. აყვავდება საქართველოც, როცა იგი კვლავაც თავისუფალი იქნება. მადლობელი ვარ, რომ ღმერთმა მოგვცა ორი სამშობლო და კიდევ დიდი, მოსიყვარულე გული, რომელიც იტევს ამ ორი კეთილშობილი ხალხის სიყვარულს. დაე, უფრო ამაღლდეს ეს სიყვარული და საუკუნეების მანძილზე გასტანოს. იქ, ისრაელში ხომ ქართველ ებრაელთა სუფრაზე ყოველთვის ისმება საქართველოს სადღეგრძელო.

ჩემი გრძნობები ამ პატარა ლექსით გამოვხატე.

## ხიდი

ასრულდა ჩემი დიდი ხნის ნატვრა,
მამა-პაპათა მიწა ვიხილე,
„გოდების კედელს“ ვემთხვიე კრძალვით,
სევდა, ნაღველი გულს ჩავიხვიე.

ვნახე ლვიძლი ძმა და ახლობლები,
ო, გმადლობთ, ღმერთო, მზეო, ნათელო,
ყველანი კარგად არიან, მაგრამ
ძილში აბოდებთ მათ საქართველო.

მათ სიყვარული საქართველოსი,
გულში ვაზივით აქვთ ჩახლართული,
თან წაუღიათ წმინდა მიწაზე,
შეუპოვარი სული ქართული.

იქ ამ პაერით სუნთქავენ კიდევ
ვერ დაიჯერებთ, რის ვარ მნახველი,
აქ იყვნენ როგორც ებრაელები,
იქ კი ცხოვრობენ როგორც ქართველნი.

იყოს ჩვენს შორის კვლავაც ერთობა
მონატრებული ნახვა, სალამი,
აქ ჩვენ დავიცავთ ძველ ქართულ მიწას
იქ შეგვინახონ შოთას საფლავი.

ვეთაყვანები ჩემს „აღთქმულ მიწას“
გულში ჩავიკრავ, ხშირად ვენვევი,
მაგრამ ფესვები აქაც ხომ მიდგას,
ჩემს საქართველოს ვერ შეველევი.

და მე თქვენს შორის ლოცვადქცეული,
კვლავ თქვენს სიყვარულს, ქირს და
ლხინს ვზიდავ,
იქ თუ მარხია ძვლები წინაპრის
აქ ხომ ქართული აკვანი გვზრდიდა.

გამრავლდეს შოთა, ილია, საბა,
იქ კიდევ აბრამ, იცხაკ, შარონი,
ქართულ მიწაზე იყოს მშვიდობა!
ისრაელში კი მუდამ „შალომი“.

**ნორა ხეფიაშვილი**

# ამბავი, რომელიც ზღაპარს ჰგავს

ბავშვის დაბადება ოჯახისათვის უდიდესი სიხარულია. ჩნდება ახალი სიცოცხლე, რასაც თან ახლავს მრავალი ახალი საზრუნავი, უძილოდ გათენებული ღამეები. მაგრამ შრომის ნაყოფი მეტად ტკბილია — იზრდება პატარა! აი, მან უკვე დაიჭირა თავი... უკვე ღუღუნებს, ამბობს „აღუს“... ამოეჭრა პირველი კბილი... წარმოთქვა პირველი სიტყვა, გადადგა პირველი ნაბიჯი. ექიმიც კმაყოფილია — ბავშვის ფსიქო-მოტორული განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს...

მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. ზოგჯერ დრო გადის და ბავშვის დაბადების პირველ სიხარულს ცვლის შეშფოთება. მოწმენდილ ცაზე საავდრო ღრუბლის ფთილასავით ჩნდება დარდი, რომელიც მართლაც საავდრო ღრუბელივით იზრდება. ისმება მშობლებისათვის შემაძრწუნებელი კითხვა: იქნება თუ არა ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად სრულყოფილი?

რა უნდა იცოდეს ქალმა, რომელიც დედობას აპირებს? ძალიან ბევრი რამ: პირადი ჰიგიენა, სწორი დღის რეჟიმი, სწორი კვება.

ტოქსიკოზით მიმდინარე ორსულობა, ორსულობის დროს გადატანილი სხვადასხვა ინფექციური დაავადებები, დედისა და ბავშვის სისხლის ჯგუფობრივი შეუთავსებლობის, რეზუს-კონფლიქტის შედეგად გამოწვეული გართულებები, ინტოქსიკაციები, რადიაცია, ორსულის გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, ნერვული სისტემის, ღვიძლის, თირკმელების სხვადასხვა დაავადებები, ნერვული სტრესი, მექანიკური ტრავმა, აი, მიზეზთა ის არასრული ნუსხა, რომელიც იწვევს ნაყოფის ქრონიკულ ჰიპოქსიას (ჟანგბადის ნაკლებობას), რაც განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ცენტრალური ნერვული სისტემის ჩამოყალიბების პროცესზე, განაპირობებს მასში სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის აღმოცენებას. ჰიპოქსიის შედეგად განვითარებული თავის ტვინის შეშუპება არის წინაპირობა იმისათვის, რომ მშობიარობის დროს ნაყოფზე მოქმედმა ფიზიოლოგიურმა დატვირთვამაც კი გამოიწვიოს თავისა და ზურგის ტვინის მძიმე ტრავმული დაზიანება.

ახალშობილს, რომელიც დაბადებულია პათოლოგიით მიმდინარე ორსულობის შედეგად ასფიქსიაში, და ზოგ სხვა შემთხვევაში, აღენიშნებოდა კეფალოჰემატომა, (თავზე კანქვეშა სისხლჩაქცევა), სახეზე ან თვალის სკლერებზე სისხლჩაქცევა და სხვა,



მიუხედავად იმისა, გამოხატულია თუ არა ცენტრალური ნერვიული სისტემის დაზიანების კლინიკური ნიშნები, საჭიროებს გულმოდგინე გამოკვლევას და სათანადო მკურნალობის დანიშვნას. დაბადების პირველი დღეებიდანვე ზოგჯერ კლინიკური სურათი არ შეესაბამება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში არსებულ პათოლოგიის ხარისხს, რის გამოც მკურნალობა შეიძლება იყოს არაადეკვატური ან ნაადრევად შეწყდეს. ასეთ შემთხვევაში მოგვიანებით ბავშვს შეიძლება გამოუმჟღავნდეს ცენტრალური ნერვიული სისტემის მძიმე დაზიანების მოვლენები შეუქცევადი ორგანული ცვლილებებით, ხოლო შემდგომი მკურნალობა ეფექტიანი არ აღმოჩნდება.

ახალშობილთა ნევროლოგიური სამსახურის საკითხის აქტუალობამ განაპირობა კიდევ ერთი ვიწრო სპეციალობის ექიმის ნეონატოლოგი-ნევროპათოლოგის გაჩენა.

რესპუბლიკის ბავშვთა საავადმყოფოში 1986 წლიდან მოქმედებს ახალშობილთა ფსიქო-ნევროლოგიური განყოფილება, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ყველაზე პატარა პაციენტების გამოკვლევის, მკურნალობისა და მოვლისათვის. აქ ავადმყოფებს უტარდებათ სპეციალისტთა — ნევროპათოლოგის, ნეირო-ოფთალმოლოგის, გენეტიკოსის, კარდიოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ნეიროქირურგისა და სხვათა კონსულტაციები, კლინიკო-ლაბორატორიული, ბაქტერიოლოგიური, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, ნეირო-რენტგენოლოგიური, ინსტრუმენტული გამოკვლევები. დანერგილია გამოკვლევის ახალი მეთოდი — ნეიროსონოსკოპია — უმტკივნეულო, უსისხლო, უვნებელი მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა თავის ტვინში არსებული პათოლოგიის ხასიათის, ხარისხის, მდებარეობის, აგრეთვე დაავადების დინამიკის შესახებ.

განყოფილებაში მოქმედებს დღის სტაციონარის ტიპის პალატა 4 საწოლით, სადაც რისკის ჯგუფის ახალშობილს ერთი დღის განმავლობაში შეიძლება ჩაუტარდეს ყველა ზემოთჩამოთვლილი გამოკვლევა და ბინაზე დაენიშნოს სათანადო მკურნალობა. პატარა პაციენტების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები. აქ ისეთ ამბებსაც გიამბობენ, რომელიც ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. აი, თუნდაც ეს შემთხვევა: სამშობიარო სახლიდან ახალშობილი მოიყვანეს. მშობლები არ მოყოლიან, რადგან უთხრეს, ბავშვი დაიღუპაო, ასე გადაწყვიტეს ბავშვის ახლობლებმა, რათა ახალგაზრდა ცოლ-ქმრისათვის ზედმეტი სულიერი ტრავმა თავიდან აეცილებინათ (რამდენად მართებულია ასეთი განაჩენის გამოტანა, ეს, რა თქმა უნდა, ცალკე მსჯელობის საგანია).

ავადმყოფის მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო. ამის მიუხედავად ბავშვისათვის არ დაგვიკლია არც მკურნალობა, არც მოვლა-პატრონობა. დრო გადიოდა და თითქმის დაუჯერებელი რამ ხდებოდა, დაავადება უკან იხევდა. 1 წლის ასაკში ბიჭუნა სრულიად ჯანმრთელი და ნორმალური იყო. მღელვარებით, თვალში ცრემლაკიაფებული გიამბობენ, როგორც ჩაიკრა წარმოუდგენელი სიხარულისაგან აქვითინებულმა დედამ ოქროსფერ კულულებიანი მშვენიერი ბიჭუნა, საკუთარი შვილი, რომელიც მკვდარი ეგონა.

ეს შემთხვევა ერთადერთი როდია.

რესპუბლიკური ბავშვთა საავადმყოფოს ახალშობილთა ფსიქო-ნევროლოგიურ განყოფილებაში ყველაფერი კეთდება ჩვილისათვის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.

**ია დავითაია,**

რესპუბლიკური ბავშვთა საავადმყოფოს ახალშობილთა ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგე.

# მამაჩემი-ოთარ მეღვინეთუხუცესი









დიდი ხნის წინათ, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს პატარა გოგონამ დიდი ცისფერი თვალები შემომანათა და ბავშვისთვის უცხო სევდით მკითხა: ნეტა, ჩემს მშობლებს ხომ არ დაავიწყდათ, შვილი რომ ჰყავთო?...

— არა, — პროტესტს აცხადებს დღეს უკვე 21 წლის მარინე მეღვინეთუხუცესი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, ცნობილი მსახიობების გურანდა გაბუნიასა და ოთარ მეღვინეთუხუცესის ერთადერთი შვილი, — მართალია, როცა მშობლებს მთელი ზაფხულის განმავლობაში ვერ ხედავ, რადგან ან გადაღებებზე არიან და ან გასტროლებზე, ეს ბავშვურ განცდებს იწვევს. მაგრამ არ მიმაჩნია, რომ დედამ და მამამ რაიმე დამაკლეს და ვინმეზე მეტად დაჩაგრული ვიყავი. თანაც, შენ წარმოიდგინე, ამით ჩემმა მშობლებმა დამოუკიდებლობასაც შემაჩვიეს, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. ისინი არასოდეს არ ყოფილან დაინტერესებულნი, როგორი წარმატებები მაქვს სკოლაში და მეც შევეჩვიე, რომ ეს ჩემი საქმეა, რომელსაც მევე უნდა მივხედო.

— და მაინც, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრე სასწავლებლად და დედას პირველად დაელაპარაკე ტელეფონით, ის დიდხანს განიცდიდა, შეწუხებული ხმა აქვსო... გაგიჭირდა?

— თავიდან, ძალიან — ... მიუხედავად იმისა, რომ იქ დიდია ყურადღება „საბჭოთა კავშირიდან“ ჩასულებისადმი, „ახალი ხილი“ ხარ მათთვის. მაგრამ ეს დაინტერესება მაინც ზედაპირულია. ამას დაუმატე სწავლების ინტენსიურობა და განსხვავება — როცა სხვანაირი, შემოქმედებითი აზროვნება მოგეთხოვება. და მესამე — კულტურული შოკი. ასე რომ, გამიჭირდა. თან იქ ყველა მხოლოდ თავის საქმეს აკეთებს და შენც იგივე გევალება. თანაც როგორც კი გამოავლენ შენს შესაძლებლობას, მაშინვე ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ყველაზე მეტად ამერიკაში იმით მოვიხიბლე, რომ საზოგადოება ისეა აწყობილი, ვისთანაც არ გინდა ურთიერთობა, არავინ და არაფერი გაიძულებს იქონიო რაიმე საერთო მასთან. ეს კი დიდი ბედნიერებაა. და, რა თქმა უნდა, გამაოცა დამოკიდებულებამ ლექტორსა და სტუდენტს შორის. როცა ლექტორი გიყურებს არა როგორც უცოდინარსა და უსაქმურს, არამედ როგორც თანამოაზრეს, თანამშრომელს, კოლეგას. არავის ერიდება საკუთარი აზრის, — თუნდაც მცდარის, გამოთქმა, რადგან ეს შენი აზრია და ირგვლივ მყოფნი ინტერესით ისმენენ მას.

— სხვათა შორის, შენი ახლობლებისთვისაც მოულოდნელი იყო, რომ მსახიობობა არ მოინდომე. რატომ?

— მართალი გითხრა, მეათე კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით დარწმუნებული ვიყავი, რომ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ვცდიდი ბედს, მაგრამ რაღაც მომენტში მივხვდი, — იმისდა მიუხედავად, რომ ძალიან მიყვარს თეატრი თავისი პლიუსით და მინუსით — უთეატროდ ცხოვრება შემიძლია. და მგონია, მსახიობი უნდა იყოს მხოლოდ ის, ვისაც უთეატროდ სიცოცხლე არ შეუძლია, მაგალითად — მამაჩემი. თორემ მსახიობობაზე ყველას უოცნებია — ითამაშოს დედოფალი, შეუყვარდეს უფლისწულს... მაგრამ ჩნდება კითხვა, შევწირავდი კი თეატრს ყველაფერს? — არ ვიცი. უნივერსიტეტში სწავლა კი იმიტომ მოვინდომე, რომ უნივერსიტეტი მაინც უნივერსიტეტია. არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო სხვა უმაღლეს სასწავლებლებს, მაგრამ უნივერსიტეტში მაინც სულ სხვა ატმოსფეროა, სხვა ურთიერთობებია, სხვა დონეა... და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ არ მომწონს დღევანდელი უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მაინც უნივერსიტეტის პატრიოტი ვარ და ვიქნები.

— საინტერესოა, როგორი მაყურებელი ხარ, როცა სპექტაკლში ან ქალბატონი გურანდა ან ბატონი ოთარი თამაშობს?

— საკმაოდ სუბიექტური, არ განვეკუთვნები შვილების იმ კატეგორიას, რომლებსაც მშობლების ყველაფერი მოსწონთ. სპექტაკლის ყურებისას სულ მაინტერესებს, რას ვერ გააკეთებენ. თორემ რაც შეუძლიათ, ისედაც ვიცი.

— და შენს აზრს დაუფარავად უზიარებ?

— ჩემს თავს ამის უფლებას არ ვაძლევ, რადგან მე ჩვეულებრივი მაყურებელი ვარ და ისინი უთუოდ ჩემზე ბევრად კომპეტენტურნი არიან თეატრალურ ხელოვნებაში. თანაც მგონია, რაც უფრო მეტს ურჩევ, მით ნაკლებად მიიღებს ადამიანი. მაგრამ ხანდახან მაინც გავბედავ და ვეკითხები, აი, ასე რომ გეცადა მეთქი?

— ალბათ, შენს ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს ის ფაქტი, თუ ვისი შვილი ხარ?

— ჩვენს საზოგადოებაში ამას დიდი წონა აქვს. რაც ძალზე მალიზიანებს. ჩემის აზრით, პირველი, რაც დასავლეთიდან უნდა ვისწავლოთ, ის უბრალო წესია, რომ არაფერს ნიშნავს ვისი შვილი თუ ბიძაშვილი ხარ. უმთავრესია, თვითონ ვინ ხარ. რა თქმა უნდა, ასეთი სნობური თვისებები ყოველ ჩვენგანშია გამჯდარი. ამიტომ თვითონვე უნდა შევეცადოთ, ჩვენს აზროვნებაში რაღაც შევცვალოთ. და ეს არცთუ ისე ძნელ საქმედ მეჩვენება. ამის მაგალითსაც მოვიყვან. ნიუ-იორკში სწავლისას იქ რუსთაველის თეატრის გასტროლები გაიმართა და ამერიკის მხარემ თარჯიმნად მიმიწვია. რუსთაველის თეატრის მსახიობთა უმრავლესობა ბავშვობიდან მიცნობს და მათთვის მე გურანდას და ოთარის პატარა გოგონა ვიყავი... მაგრამ მუშაობისას ეს დამოკიდებულება შეიცვალა — ვიყავი ადამიანი, რომელიც საქმეს აკეთებს. ასეთი რამ თვითდამკვიდრებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც მე უკვე ჩემი დამოკიდებულება მაქვს მათთან, ვისაც მანამდეც ვიცნობდი — რამაზ ჩხიკვაძესთან, ავთო მახარაძესთან, რობერტ სტურუასთან, გოგი მესხიშვილთან, გია ყანჩელთან.

ამით კი ძალიან ბედნიერი ვარ.

ესაუბრა **თამარ ჩიქოვანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ქალი



მხატვარი კარლო ფაჩულია

ცაცა ერქვა. ბრმა იყო. მეხუთე კლასში გახლდით, პირველად რომ დავინახე. გრძელნაწნავებიანი მაღალი ქალი თავის ჭიშკართან სასხლავიან მოხუცს — ჭიჭიას ესაუბრებოდა და მარჯვენა ხელით გულზე ჩამოშვებულ ნაწნავს აწვალებდა. ჯარისკაცისფარაჯიანი ჭიჭია ტრიფოლიატის ღობეს სხლავდა და თან ცაცას ელაპარაკებოდა დაგუდული ღიმილით, რაღაცნაირი ძალადმორცხვობით, თვალგაშტერებით, ეშმაკურად. ცაცა ხმამაღლა იცინოდა და სიცილსა და სიცილს შუა, სანამ მეზობელი ახალ ამბავს წამოუწყებდა, პირს ისე აღებდა, რომ მის ჩაწიკწიკებულ, მარგალიტივით მბზვინვარე კბილებს დაითვლიდი.

მეც მოვაღე პირი და მანამ მივჩერებოდი, სანამ მსხვლელი არ მომიბრუნდა: რას უყურებ, ბიძია, წა შენს გზაზეო. ჩანთა ზურგზე გადავიქნიე და ჩემს გზას ვეწიე, მაგრამ სიბრაზისგან თმის ძირები ამეწვა, ცაცას კისკისი რომ გავიგონე. რა უთხრა ასეთი ჭიჭიამ — სასხლავიანმა წითელმა ტურამ, ან რაზე ხითხითებდნენ ასე გულიანად, არ გამიგონია. ეტყოდა, ალბათ, ხშირად ნუ გამოხვალ ქუჩაში, თორემ მაგ ბავშვს სწავლაში ჩამოარჩენო. ისე, მონუსხულივით გიყურებდა, ამ სასხლავით ყური რომ მომეჭრა, ვერ გაიგებდაო.

ცაცას ამბავი ყველამ იცოდა და აბა, ჩვენ, ბავშვებს, რა გამოგვეპარებოდა. საღამოობით შევიკრიბებოდით ჩვენი სამეზობლოს ლირფი ბიჭები. ვენახის ბოლოდან შევიპარებოდით ბაგრატია დაბეხილის ეზოში, ჩავძვრებოდით მითაყამისდროინდელ, ცხრა ადგილას გამოჭმულ საწნახელში და იობის მოთმინებით ვუთვალთვალებდით ცაცას ფანჯრებს. მკითხველს რაღა დავუმალო, ისიც ვიცოდით, რა ხდებოდა იმ ფანჯრებს მიღმა. გუმანით ვიცოდით, თორემ დანახვით მარტო იმას ვხედავდით, რომ მოვიდოდა დარბაისელი მოქალაქე (ზოგს ვიცნობდით სახეზე, ზოგს არა) ჯერ ცაცას ფანჯარას შეავლებდა თვალს, მერე ჭიშკარს შეაღებდა და მზრუნველი კა ცივით შიგნიდან ჩაკეტავდა. სამსაფეხურიან კიბეს რო აივლიდა და განზე გადაქანჯული, რიკულებიანი პატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ოდის კარს შეაღებდა, ჩვენ თვლას ვიწყებდით. ასე ასაათიდან-ასოცამდე დათვლაში ჩაქრებოდა სინათლე. კარგა ხნის მერე, სინათლე რომ კვლავ გაავსებდა ცაცას იდუმალ ფანჯრებს, ოცდახუთ დათვლაში გამოდიოდა სტუმარი. ჭიშკარს გარედან გულდაგულ დაკეტავდა და გზას ყოველთვის ბაზრის მხარეს, აღმა გაუყვებოდა. ვინ არ გვინახავს ცაცას სახლიდან გამოსული, მაგრამ აქეთ, ჩვენსკენ, ბაგრატიას სახლისკენ არავინ წამოსულა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცაცას სტუმრები ყველანი ქალაქიდან, ცენტრიდან მოდიოდნენ და ბაკისუბნელი კაცი ბრმა ქალს არასოდეს აწუხებდა.

სამმა წელმა ისე გაირბინა, რომ დღე არ ყოფილა, ცაცაზე და მის ფანჯრებზე არ მეფიქრა. მეგონა, დრო მხოლოდ იმიტომ გადიოდა და ფეხსაცმელიც იმიტომ მიმოკლდებოდა ასე ჩქარ-ჩქარა, ერთ მშვენიერ დღეს ცაცას ოდის კიბეები ამევლო, კართან კაცურად ჩამეხველებინა და გაოცებული მასპინძლისთვის მეხარებინა — „მე ვარ!“

ეს დღეც დადგა. მერვე კლასს ვამთავრებდი, ტყემლობის დრო იყო. საკონსერვოს კინოში მივდივარ-მეთქი, — დედაჩემს დავუბარე, მარდალეიშვილის ქუჩას შემოვუარბინე, ბაგრატიას საწნახელს გვერდი ავუარე და ცაცას ჭიშკარს მივაწექი. ახალშებინდული იყო, მაგრამ ბრმა ქალი ჩვენს ქუჩაზე ყველაზე ადრე ანთებდა შუქს. ჭიშკარს მავთულის რგოლი თავზე დავახურე და ისე ერთგულად ჩავკეტე შიგნიდან, კაცს ეგონებოდა, გარეთ გამოსვლას აღარ აპირებსო. ოცნებით რამდენჯერ მოვსულვარ აქ, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, სანამ კიბეს ავივლიდი და კარზე დავაკაკუნებდი, ჩემი დამემართა. ვაითუ წამიბილიკოს ერთი თავში და გამომაგდოს-მეთქი. ბოლოს თავი იმით ვინუგეშე, რომ არავინ მხედავდა. ყოველ შემთხვევაში, ბაგრატიას საწნახელში წელან არავინ იჯდა.

მეორეჯერ უფრო გაბედულად და უფრო ჯიუტად დავაკაკუნე.

— რომელი ხარ? — რატომღაც მომეჩვენა, რომ ცაცა პირდაპირ საწოლიდან გამეპასუხა.

— მე ვარ, — რამდენადაც შევძელი დაჯერებულად ვთქვი და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ მასპინძელს ჩემი ვინაობის რკვევა აღარ გაუგრძელებია.

— შემოდი.

კარი შევაღე და ზღურბლზევე შევჩერდი.

წითელფარდაგიან საწოლზე იჯდა. ერთი ფეხი შეეკეცა, ხოლო მეორე ყვითელფოჩებიან ქოშში სანახევროდ წაეყო, ეტყობოდა, წამოდგომას აპირებდა და გადაიფიქრა. შავი, სქელი თმა ყელს, მხრებს, გულმკერდს უფარავდა. ლამაზ ცხენს რომ ფაფარი აყრია, ისე ეყარა თმა. მარცხენა ხელით შიშველ მუხლისთავს იზელდა. შევკრთი. ძალიან დიდი მეჩვენა. კართან აზაზულმა ცხადად ვიგრძენი, რომ, ამხელა ქალთან შედარებით, ძალიან პატარა და უმწეო ვიყავი. ხალიჩაზე დახატულ დევის ლამაზ ქალს ჰგავდა ცაცა და უკან გაბრუნებაც კი გავივლე გუნებაში, მაგრამ თავს ძალა დავატანე.

— აღარ იტყვი, რომელი ხარ? — ისე თბილად და ალერსიანად მკითხა ქალმა, თითქოს მისი უახლოესი ადამიანი გახლდით; რომელიც უკნიდან მიეპარა და ხუმრობით აფარა თვალებზე ხელი, თუმცა ეჭვი არ ეპარება, რომ იცნობენ, რადგანაც მის მეტს ამ ოთახში არავის ელიან.

— გიგლა ვარ, — ვიცრუე.

— სად ცხოვრობ?

— ბალახვანში.

— მერე? ჩემთან რაზე მოხვედი, გიგლა? — ცაცამ თავი ჩემსკენ მოაბრუნა.

— ვითომ არ იცი, — ფეხსაცმლის წვერით იატაკს დავუწყე ბურღვა, ყურები გამიწითლდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე, — რა შეკითხვაა ახლა მაგი?

— რა შეკითხვაა და ნამეტანი ბოვშვის ხმა გაქვს, გიგლა. რამდენი წლის ხარ?

— ოცის.

— არ იქნები შენ ოცი წლის. მატყუებ რაცხას.

— დედა მომიკვდეს.

— დედას დოურჩი შენ. კი მარა, ვინ მოგასწავლა, რანაირად, ასე... დაკაკუნება გამიგონია?

— მე... ერთხელ... ნამყოფი ვარ შენთან. — დამარცვლით და ისე ყალბად ვთქვი, მართალიც რომ ყოფილიყო, არავინ დამიჯერებდა.

— გიგლა, ტყვილებს დაანებე თავი, თვარა გავბრაზდები და ხმას აღარ გაგცემ. მე ბრმაი ვარ, სულელი კი არა. შე კაი კაცო. რას ჰქვია ნამყოფი ხარ. ხმაზე, ჩემს სახლში ნამყოფს კი არა, ავტობუსში რომ ვინცხა-ვინცხას დაელაპარაკება, იმას ვცნობ. არ გინდა ჩემთან მაგნაირი ლაპარაკი.

— კაი, ბოდიშს ვიხდი, — ოღონდ ახლა აქედან არ გამაგდოს და ბოდიშს მოვუხდი კი არა, ფეხის თითებზე არ ვაკოცებ?

ცაცამ გაიღიმა, მუშტშეკრული ხელები მხრებთან მიიტანა, გაიზმორა და თეთრი, ფუნჩულა ოთხი თითი პირზე რამდენჯერმე რბილად მიირტყა.

პირველმა ელდამ თითქოს გამიარა, ოთახი უფრო განათდა. ცოტა არ იყოს, გავშინაურდი და კარის გასწვრივ გავიარ-გამოვიარე. ცაცას მხარეს გავლას ჯერ, რასაკვირველია, ვერ ვბედავ. თეთრი მაგიდის შუაგულში ჭილოფის ხახალზე წითელი ვაშლები აწყვია. მაგიდის მარჯვენა კუთხეში, ხვიპია თეფშზე ერთადერთი ლურჯი ხუთმანეთიანი მოჩანს. ფულზე ვიღაცას, სამკაპიკიანი დაუდვია, ალბათ, იმიტომ, რომ არ აფრიალდეს.

— დღეს დილიდან მეძინება, ეს ოხერი. რომელი საათია ახლა?

— ცხრა იქნება.

— ცხრაზე მეტი არაა? რა ნელა გადის ეს დრო, ეს ოხერი.

— მოიმატა დღემ, — დაბეჯითებით ვთქვი.

— მოიმატა კი. მამაშენი რა მოხელეა, გიგლა?

— მამა არ მყავს — კვლავ ვიცრუე.

— ბავშვი ხარ, ბიჭო, ნამეტანი, წადი ახლა სახლში. ჯერ ადრეა შენთვის. ჯერ მეცხრე კლასში არ იქნები. ხომ მართალს ვამბობ, დედას გაფიცებ?

— მეცხრეში გადავდივარ.

— ჰოდა, ადრეა-მეთქი, სწორს გეუბნები.

— არაფერი ადრე არაა.

— ბიჭო, მე რამდენი წლის ვარ, იცი შენ? — მცირე პაუზის შემდეგ მკითხა ცაცამ. იცით როგორ მკითხა? ღიმილით, იქნებ ცოტა ირონიითაც, ოსტატი რომ შეგირდს შეეკითხება.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

— როგორ არა აქვს, გიგლა. ოცდათხუთმეტი წლის ქალი ვარ მე და, შენ პირველი წვერი არ გაგიპარსია ჯერ. მოდი ჩემთან ერთწუთს.

შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ მაინც მივედი. ცაცა არ ამდგარა, მარჯვენა ხელი გამოიწოდა ჩემსკენ, პერანგის ღილებს მაღლა აჰყვა და სახეზე მომისვა.

— ხომ გითხარი, ბავშვი ხარ, — კვლავ გაიღიმა, — წადი სახლში.

— არაფერი ბავშვი არა ვარ მე, — ისე მტკიცე გადაწყვეტილებით ვთქვი, რომ ცაცა გაჩუმდა.

იქვე სკამზე ჩამოვჯექი და შევყურებდი. ახლოდან უფრო დიდი მეჩვენა. ჩემს თავს ვტუქსავდი. ვინ დამაძალა აქ მოსვლა, რა ხათაბალა ავუტეხე ჩემს თავს, ქა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი. საერთოდ, ამხელა თუ იყო, რატომ არ ვიცოდი-მეთქი.

— გიგლა, — კარგა ხნის შემდეგ მიხმო.

— ბატონო.

— ზიხარ თუ ფეხზე დგახარ, გიგლა?

— აგერ ვზივარ, მაგიდასთან.

— მანდ ვაშლი დევს, ჭამე.

— არ მიყვარს ვაშლი.

— ერთი ცალი შეჭამე, დედას გაფიცებ.

— კაი, შენი ხათრით შევჭამ, — ავიღე და გაუბედავად ჩავკბიჩე.

— ჭამე გემრიელად, ახრაშუნე, ბიჭო. მიყვარს კაცი რომ ვაშლს ჭამს და ახრაშუნებს. საერთოდ, ვაშლს ხრაშუნი უხდება.

— რა დროის ვაშლია, ხომ არ დამცინის-მეთქი, — შიშმა გამკრა გულში, მაგრამ ცაცას ანგელოზივით მშვიდ სახეს და დახატულ ცხვირს რომ შევავლე თვალი, მაშინვე ვირწმუნე, რომ ამ შესახედაობის პატრონი საერთოდ არავის გაამასხარავებდა და მით უმეტეს, ჩემისთანა გასაცოდავებულ ყმაწვილს.

— თვალები რა ფერის გაქვს, გიგლა? — ისევ ისე, კედლის გასწვრივ, მაღლა და შორს იმზირება.

— სულ ვერ ხედავ? — კითხვა შევუბრუნე.

— ვერა.

— აბა, რა ჭკუა აქვს, რა ფერის თვალები მექნება, — ცოტა არ იყოს, უხეშად წამომცდა და მაშინვე ვინანე.

— ისე გეკითხები. მე ხომ ფერიც არ ვიცი, რა არის. ცისფერიო, რომ იძახიან, ერთი მარტო ცისფერი დამანახვა-მეთქი, რამდენჯერ მინატრია.

— შენ რომ ფერს ხედავ, ის შავი ფერია. ერთი ფერი ხომ ჯიბეში გაქვს. შავი.

— შავი კი. შავი ფერით ყელამდე ვარ.

ახლა რამე გამამხნევებელი თუ არ ვუთხარი, ნამეტანი წავიფილოსოფოსე, და მასპინძელს გული არ ვატკინო-მეთქი და აი, რა მოვიფიქრე:

— ისე, შენთვის სჯობია, რომ ვერ ხედავ. ნეტავ არც მე ვხედავდე ახლა, ამ წუთს.

— რატომ, გიგლა, ასე უშნო ვარ?

— სწორედ ლამაზი რომ ხარ, იმიტომ... რა ვიცი, რაცხა სინათლე... სინათლემ სირცხვილი, იცის... სიბნელეს რა სჯობია, — სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე, რას ვლუღლუღებ, მე თვითონ არ მესმის.

— ლამაზი ვარ მართლა, გიგლა?

— გადასარევი.

— რა მაქვს ლამაზი, შენ როდის მნახე?

— ყოველდღე არ გხედავ? — თითქოს დიდად საამაყო რამ ვთქვი და ამ ჩემს წამონაროშზე კინაღამ ფეხი წავიტეხე.

— ყოველდღე? როდის, ბიჭო, მე გარეთ რომ იშვიათად გამოვდივარ?

— რა უნდა შენს ნახვას, დილდილობით ჭიჭიას ხომ ელოდები ჭიშკართან, პური და ბაზრიდან რაცხა-რაცხეები რომ უნდა მოგიტანოს.

— უი, ჭიჭიაც იცი? შენ მთლად მეზობელი ხარ, ასე ჩანს. კი. წადი ახლა, გიგლა, თუ გიყვარდე. დედაშენმა რომ გაიგოს შენი აქ ყოფნა, თმით დამითრევს. ცოდვა არა ვარ?

— დედაჩემი რას მოგაგნებს, ბალახვანში ვცხოვრობ-თქვა, ხომ გითხარი.

— აბა, აქეთ რაზე დადიხარ?

— მეთხუთმეტეში ვსწავლობ.

— ბალახვანში სკოლა არაა?

— გეომეტრია გადამეკიდა და აქეთ გადმოვედი.

— აბა, დედა დეიფიცე.

ქმრის ბალთას ხელი დავადე და დედა დავიფიცე. ვიცოდი, თუ რკინას ხელს დავადებდი, ყოველგვარი ფიცი თავის სასწაულებრივ ძალას ჰკარგავდა.

არც მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავით ჩუმად. ბოლოს, ცაცამ, წამოიწია და მეორე, შეკეცილი ფეხიც ძირს ჩამოუშვა. ლაზლის წინდები ეცვა. ცალ ქოშში ტერფი რომ წაჰყო, მეორეს დიდხანს ეძებდა თავისი ლამაზი ფეხით. როგორც იქნა, მივხვდი, ქოში მოვუძებნე და ოთხზე დამდგარმა ჩავაცვი. მადლობა გადამიხადა, ყბებზე ორივე ხელი ამომდო და გულზე მიმიკრა. სული კინაღამ შემიგუბდა. „რა მშვენივრად ვიჯექით ცალცალკე, ნეტავ ისე გაგრძელებულიყო-მეთქი". დაიჯერებთ? გულზე მიმიკრა, მაგრამ ქალი არ მიგრძვნია, ჯიუტად გავიწიე განზე, სიამოვნებით წავიდოდი ახლა შინ და არც არასოდეს მოვიხედავდი ცაცასკენ, მაგრამ რაღაც ძალა მაკავებდა, ინტერესი იმისა, რომ რაღაც სხვა, რაღაც იდუმალი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში. ან იქნებ სულაც ჩემი თავის გამოცდა მსურდა. ისევ სკამს დავუბრუნდი. ხელის თითები გამიცივდა. გული ბაგაბუგით მიცემდა. ლურსმანივით ჩამერჭო თავში ფიქრი: „როგორც ჩანს, ჯერ პატარა ვარ, შევრცხვები".

ცაცა საწოლის უკან, ჩუქურთმებიანი კარადის თავზე დადგმულ ძველთაძველ რადიომიმღებს მიუახლოვდა. კარგა ხანს ატრიალა, მაგრამ შიქასტის მეტი ვერაფერი დაიჭირა. ტიროდა თუ მღეროდა, ვიღაც მუსულმანური აღმოსავლეთის რომელიღაც ქვეყნიდან, ვერ გავარკვევდი.

— იყოს? — მკითხა მასპინძელმა.

დუმილით რომ ვუპასუხე, ცაცამ რადიო გამორთო და კარგად მოიქცა. სტამბულის რადიოს გრძელი მოთქმა-გალობანი ბავშვობიდანვე ნერვებს მიშლიდა.

...მთვარით სავსე იყო ოთახი, და ყველაფერს მშვენივრად ვხედავდი. კაცმა რომ თქვას, სინათლე არც კი იყო საჭირო, მაგრამ მახსოვდა, რომ ყველანი ასე იქცეოდნენ და მეც ავანთე.

ჩაცმული კიდევ ერთხელ მივუბრუნდი ცაცას. საწოლზე ჩამოვუჯექი და გულში ჩავიხუტე.

— კაი, ნუ დამახრჩვე, შე გადარეულო. დამისვდება ტუჩები, კბილებით კოცნა გამიგონია?

— წადი ახლა, გეყოფა, ვინმემ არ მოგისწროს.

თითქოს ზარს შემოჰკრესო. გამოვფხიზლდი. ხელი გავუშვი და წამოვდექი. ელდამ თავიდან-ფეხებამდე გამიარა.

„სხვამ არ მოგისწროს!"

ფულის ტკაცუნზე ცაცა საწოლზე წამოჯდა.

— ფული არ დატოვო, დედას გაფიცებ. გიგლა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, არ დატოვო, თორემ მეორეჯერ არ გაგიღებ, იცოდე კარს.

ხუთმანეთიანი დავდევი თეფშზე და გამოვედი.

მოვრბოდი ქუჩაზე და ყურებში მიწიოდა: „წადი ახლა, ვინმემ არ მოგისწროს!"

მეჩვენებოდა, რომ მთელ ქვეყანას მერჩივნა ცაცა და რანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ერთი საათის შემდეგ ზუსტად ჩემსავით შეელო ვიღაცას კარი და ჩემნაირად მოფერებოდა.

ღობეს გადავახტი, ეზო ოთხი ნახტომით გავირბინე, ჩვენი პოინტერი-ბროლია გულში ჩავიხუტე და ლაშები დავუკოცნე, სახლში არ შევსულვარ. გამოვბრუნდი და ბაგრატიას ქვევრში ჩავჯექი.

„ნეტავ დღეს მაინც აღარ მოვიდოდეს ვინმე".

მაინც მოვიდა. გრძელკეპიანმა კაცმა ჭიშკარი ფრთხილად გააღო, შიგნიდან ჩაკეტა და კიბეზე აალაჯა.

სინათლის ჩაქრობისთვის აღარ დამიცდია.

ის დღე და ის დღე, ცაცასთან აღარ მივსულვარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საფრანგეთში ბევრი საინტერესო ქართველი ქალი ცხოვრობს, რომელთა შესახებ არ შეიძლება არ ვიცოდეთ. ერთ-ერთი მათგანია ქალბატონი ჟაკლინი (ვენერა) ჯაბას ასული ხაბულიანი.

როგორც კი მის ოჯახში ფეხი შევდგი, უცბად ვიგრძენი ქართული სურნელება: დიდი ბუხარი, ჩონგური კედელზე, წიგნები თაროებზე, ქართული კერამიკის ნიმუშები, იატაკზე ძველი ქართული ხალიჩები, დიასახლისის პორტრეტი, მხატვარ თამარ (ტატა) ფალავა-ჟორდანიას მიერ შესრულებული, კედელზე ლადო გუდიაშვილის სურათი, დედის ავტოპორტრეტი. ყველაფერი ეს ძალზე ახლობელი გახდა ჩემთვის და უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, რომ საფრანგეთში ნამდვილ ქართულ ოჯახში მოვხვდი.

დახვეწილი ქართულით მოსაუბრე ქალბატონი ჟაკლინი იმდენ სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდა, რომ მასთან შეხვედრის გამო ღმერთს მადლობას ვწირავდი. დიდ ტახტზე მოხერხებულად მოვთავსდით და მან თავისი ცხოვრების შესახებ მოყოლა დაიწყო.

კი ფრანგულს. ჩემი ქართულის ცოდნა ლევილში ხშირი სტუმრობით განვამტკიცე. ზაფხულობით იქ თავს იყრიდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები.

ბავშვები ვერიდებოდით უფროსებს, მაგრამ თვითონ ალერსიანად გვეფერებოდნენ და იმის დროსაც პოულობდნენ, რომ უყურადღებოდ არ დავეტოვებინეთ. ლევილში ჟურნალ-გაზეთებს ბეჭდავდნენ, ძალზე საინტერესო პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. 800 კაცზე მეტი იყო პარიზელ ქართველთა სათვისტომოში. მამა ჯარში არ წაიყვა-

მამაკაცებთან ერთად ქალებიც მუშაობდნენ. ვახტანგ მაჭავარიანის მეუღლე ქალბატონი ქეთო ვაჩნაძე, გოგუაძის მეუღლე ქალბატონი ნამეტია და წარმოიდგინეთ, ფრანგი ცოლებიც. მათ მეც ვეხმარებოდი.

ვაწყობდით დიდ ნადიმს:

დიდ ქვაბში მზადდებოდა ლობიო, ხარჩო, ვაცხობდით მჭადებს, ხაჭაპურებს, ღომიც გვქონდა ხოლმე.

ჩემი მოვალეობა იყო ბოსტნიდან მომეტანა მწვანილი, დამერჩია, გამერეცხა, შემდეგ მიმტანის როლს ვასრულებდი.

ლევილში ვისწავლე ქართული

ჟაკლინი ხაბულიანი



# ჟაკლინი

— ქალს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ მე უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ვიცხოვრე და ამიტომ არ ვმალავ, თუმც არც არასოდეს დამიმალია. დავიბადე 1930 წელს, 20 ივნისს, პეტრე-პავლეს დღეს ქ. მარსელში. დედის მხრივ წარმოშობით მთიელი ვარ, არზასონი მთებშია, სადაც ომიანობამდე ბავშვობაში ხშირად ჩავდიოდი ბებიასთან და ბაბუასთან. მახსოვს, 1944 წელს სკოლაშიც იქ დავდიოდი. ეს სკოლა დაამთავრა დედამაც (მარგარიტა-მარიამ ბრაუნმა) და შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. ნანსის უნივერსიტეტში ხატვის ფაკულტეტზე. ბოლო კურსზე იყო, რომ მამა გაიცნო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პარიზში ჩავიდნენ, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ, ჩემი ოჯახი დაბინავდა ვერა ფალავას სახლში, სადაც რამდენიმე წელი ვიცხოვრეთ. ქალბატონი შურა ქართულს მასწავლიდა, დედა

ნიათ, რადგან სტუდენტობის დროს ერთი ფილტვი დაუზიანდა.

ისეთი ინტერესით ყვებოდა ჟაკლინი, თითქოს ალსარებას ამბობდა, ამიტომაც ზედმეტ კითხვას ვერიდებოდი.

— საქართველოს სათვისტომოს მცხოვრებლები ყანაში მუშაობდნენ, მოჰყავდათ ლობიო, მწვანილი, კომბოსტო, სიმინდი, სტაფილო, კიტრი, პამიდორი და სხვა ბოსტნეული. მუშაობის დროს ქართულ სიმღერებს მღეროდნენ. ყანაშივე, დიდი ხის ქვეშ იმართებოდა სადილი, ყვებოდნენ საინტერესო ამბებს, ოხუნჯობდნენ, ამიტომაც ჩვენ, ბავშვებს ძალიან მოგვწონდა მათთან ყოფნა, მათი სიმღერების მოსმენა. ამ სიმღერებს ჩვენც ვსწავლობდით.

მახსოვს, ომიანობის დროს მე ანთებამ ფილტვი დამიზიანა და იძულებული ვიყავი ლევილში გადავსულიყავი საცხოვრებლად. გრიშა ურუტაძის ოჯახში ერთი ოთახი მომცეს.

საჭმელების კეთება. ხანდახან ახლაც, ჩემი ფრანგი ამხანაგების თხოვნით ვაკეთებ ქართულ კერძებს, რაც ძალიან მოსწონთ, განსაკუთრებით ნიგვზიანი ბადრიჯანი.

— ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო საქართველოში ჩამოსვლა. ვფიქრობდი, რომ გავიზრდებოდი, აუცილებლად მენახა ეს ზღაპრული ქვეყანა. რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ყოველთვის უარს მეუბნებოდნენ. ცნობა მოგვივიდა საქართველოდან, რომ მამაჩემის დედა, კატო ბებია უკანასკნელ წუთებში იყო.

ბებია ახლობელი არ არისო და ამჯერადაც უარი მითხრეს. 1963 წელს შეკითხვის წერილი მივწერე ნინა ხრუშჩოვას: „თქვენი შვილიშვილები არიან თუ არა თქვენი ახლობლები?“ პასუხი, რასაკვირველია, არ მიმიღია.

1968 წელს მირჩიეს მომეწერა თბილისში „გოქსის“ ხელმძღვანელებისათვის წერილი და მადლობა



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს, მიმიპატიჟეს თბილისში. მე მათი ძალზე დიდი მადლობელი ვარ. სიხარულის ცრემლს ვერ ვმალავდი, მართლაც, რა საოცარი ქალაქია თბილისი! მე, როგორც ქართველს, თითქოს ჩემი თანამემამულეთა კეთილი განწყობილება, ღიმილი, სტუმართმოყვარეობა, მეგობრობა არ უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

პირველსავე დღეს „ივერიაში" დიდი სუფრა გაშალეს ჩემმა მამიდაშვილმა ნანული ზამბახიძემ და მისმა შვილებმა — რუსუდანმა და ხოსო კიპაშვილებმა, ლალი, პაატა ზამბახიძეებმა, მათ გარდა ორმოცდაათ კაცზე მეტი მეგობარი თუ ნაცნობი ესწრებოდა ამ შეკრებას.

ლამაზი ქართული სუფრა სიმღერებმა დაამშვენა.

— ვენერა წარმოშობით სვანია, თქვა თამადამ, (საფრანგეთში ჟაკლინს ეძახიან).

ამ დროს სვანური სიმღერა შემოსძახეს. მეც არ დავაყოვნე, გადავხტი და როცა ფეხის წვერებზე სვანური ცეკვა დავიწყე, ყველა ატირდა. მაინც რა ვართ ქართველები!

ყველაზე უფრო ის მიხაროდა, რომ ძველი თაობის ხალხი ვნახე, რამაც მომაგონა ჩემი ბებია — ბაბუა, ისინი ხომ იცნობდნენ მათ.

მამაჩემის სამშობლო ჭიათურაა.

ჩემი მამიდაშვილი ნანული ზამბახიძე და „გოქსის" წარმომადგენელი მიწვევდნენ მეგზურობას. ჩავედით ლეჩხუმში, ზემო წიფერში და მოვინახულეთ ბაბუას ძმა, 85 წლის გიორგი ხაბულიანი და მისი მეუღლე ასპიროზა. გავიგე, რომ ოთხი ვაჟიშვილიდან ორი მეორე მსოფლიო ომში დაღუპვიათ.

სექტემბრის თვე იდგა, ბაბუა გიორგიმ გამაცნო სოფელი და მისი წეს-ჩვეულება. დავესწარი რთველს. გამაოცა ყურძნის წურვამ საწნახელში. შუა ცეცხლზე შემზადებული საჭმლის სურნელებამ მომაჯადოვა.

პურის გამოცხობაც ვნახე თონეში.

მიკვირდა, ამ შავგვრემან ხალხს საიდან ჰქონდა ცისფერი თვალები. აი, ჩემი მამიდაშვილის ნანულის შვილიშვილსაც ცისფერი თვალები აქვს და როგორ გავიხარე, რომ მამაჩემის სახელი ჯაბა ჰქვია. დარწმუნებული ვარ, რომ მისი შვილთაშვილები — ნინო, ეკატერინე, სალომე და ჯაბა კარგი მამულიშვილები გაიზრდებიან.

ჩემი ბაბუა, ალექსანდრე ხაბულიანი თავის დროზე ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში მუშაობდა. ლექსების წერაც უყვარებია.

ეტყობა, ბაბუას ნიჭი გამომყვა. მართალია ლექსი არა და რომანი კი დავწერე. ვფიქრობ, პენსიაზე რომ გავალ, მის ბეჭდვას შევუდგები.

— კი მაგრამ, როდის მოასწარით ამხელა წიგნის დაწერა მაშინ, როცა ნავთობის ასეთ დიდ ფირმას, „ტოტალს" ემსახურებით?

— ამიტომ ვერ მოვაბი თავი მის გამოქვეყნებას. უცხო ენების ცოდნა ძალიან მომეხმარა მუშაობაში — „ტოტალი" ხომ რამდენიმე ქვეყნის გაერთიანებაა.

ეს წიგნი და ნახატები ავადმყოფობის დროს სანატორიუმში შევასრულე, დრო ბევრი იყო, სხვა რა საქმე მქონდა, ვწერდი და ზოგჯერ ვხატავდი კიდეც. ხატვის ნიჭი, ეტყობა, დედისგან გამომყვა.

საქართველოში მეორედ რომ ჩამოვედი, ბევრი ჩანახატი გავაკეთე. ძალიან თბილად შემხვდნენ თბილისში, უკვე ჩემთვის ახლობელ და ნაცნობ ქალაქში. გავვოცდი, რამდენი ახალი რამ აღმოვაჩინე თბილისის ძველ უბნებში. მიხარია, რომ ასე უვლიან თბილისელები უკვე ჩემთვის საყვარელ დედაქალაქს. თბილი შეხვედრები მახსოვს ბათუმში, მცხეთაში, ქუთაისში, გორში, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ.

ის ხეხილი, რაც საქართველოში ვნახე, ლევილშიც, ქართველთა სათვისტომოშიც ხარობს.

ძალიან მიყვარს მოგზაურობა, ვყოფილვარ შვეიცარიაში, ესპანეთში, ინგლისში, მაროკოში, თურქეთში, იქაურ ქართულ ოჯახებში, მაგრამ ჩემი განუშორებელი ოცნებაა კვლავ მოვხვდე საქართველოში, სადაც ასეთი ლამაზი ხალხი ცხოვრობს, სადაც ასე შესანიშნავად მღერიან და ცეკვავენ.

უკვე ძალიან გვიანი იყო. მშვიდი ღამე ვუსურვეთ ერთმანეთს, რადგან დილით ადრე უნდა ავმდგარიყავით...

ძალიან გამიჭირდა ქალბატონ ჟაკლინთან განშორება. მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ მალე მისი ნატვრა ასრულდება და კვლავ ვიხილავთ მას საქართველოში, ქართულ მიწაზე, რაც მისთვის ასე სანუკვარი ოცნებაა.

**ჟუჟუნა ნიჟარაძე,**
საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

## შენ, ჩემო ბედის ვარსკვლავო



### ვერძი

21 მარტი — 20 აპრილი

პირველი ძირითადი ნიშანია, ზოდიაქოს პირველი ნიშანია, პირველი ცეცხლის ნიშანია, რომელიც მართავს ჰოროსკოპის პირველ სახლს. ბედნიერი რიცხვი: ცხრა და ყველა ის რიცხვი, რომელიც ცხრაზე იყოფა. ასტროლოგიური სიმბოლო: ცხვარი, პირუტყვი, რომელსაც შუბლით გააქვს ყველაფერი. ასტროლოგიური ქვები: ალმასი, აკვამარინი, ამეთვისტო.

ვერძს მართავს პლანეტა მარსი, იგი ამ ნიშნის ადამიანებს აქტიური ცხოვრებისკენ უბიძგებს და გამუდმებით ამარაგებს ენერგიით, რომელიც მას მოუსვენრობის, დაუდგომლობის, პატივმოყვარეობისა და მეტოქეობის უნარს ანიჭებს. ჰოროსკოპში ამ ნიშანს პირველი ადგილი ეთმობა და ამ ნიშნის მქონე ხალხი მუდამ პირველობას იჩემებს ყველაფერში. ვერძი დიდად ბრძენი არ გახლავთ და ის იმ ხალხს განეკუთვნება, რომელსაც ზერელე ცოდნა და გრძნობები აქვს.

ისინი კარიერას მანამდე იწყებენ, ვიდრე თავიანთ ადგილს იპოვნიან ცხოვრებაში. მათ ხშირად სჭირდებათ დინჯი და მიზანსწრაფული ხალხის დახმარება. ვერძები იდეალისტები და რომანტიკოსები არიან. სამწუხაროდ, ვერძი ხშირად ივიწყებს საკუთარ გამოცდილებას და, მრავალი შეურაცხყოფისა და ხელმოცარვის მიუხედავად, მიმნდობი რჩება.

ვერძები დიდ წარმატებებს აღწევენ თავიანთ პროფესიებში, განსაკუთრებით თეატრში. ამ ნიშნით მრავალი კინოვარსკვლავია დაბადებული. ვერძებს ბედი სწყალობთ ვაჭრობაში, სადაზღვევო საქმესა და სახლის მორთულობაში, ასევე ყველა იმ სფეროში, სადაც მათ პირადი კონტაქტები აქვთ. ამ ნიშნის ადამიანები მრავალი დარგის პირველ აღმომჩენლებად გვევლინებიან. მათ ისეთი ამოუხსნელი ორიგინალობა ახასიათებთ, რომელიც მუდამ წარმატებით მთავრდება.

ვერძის განმასხვავებელი ნიშანია ნიჭი ნინსვლისა. დღეს განაწყენებულსა და გაბრაზებულს ხვალ უკვე ავიწყდება ყოველივე. მომავალში, საქმიან ურთიერთობასა თუ სიყვარულში უარყოფილნი, იშვიათად ფიქრობენ ამაზე, და მაშინვე ლამობენ სხვა ადგილის გამონახვას. ვერძებს უყვართ საკუთარი აზრების დემონსტრირება და იშვიათად იოკებენ ემოციებს. იგი მომხიბვლელი ნიშანია, ჭეშმარიტი მეგობარი, მოქმედების ადამიანი, ქალი იქნება თუ მამაკაცი, რომელსაც ყველა საქმე ბოლომდე მიჰყავს. თანამგრძნობელებსა და მზრუნველებს სურთ, რომ ეს მათი მზრუნველობა თვალში საცემი იყოს. მუდამ ახსოვთ მეგობართა დაბადების დღეები და ძღვნად ყვავილები მიაქვთ. ისინი კეთილშობილებით გამოირჩევიან და ყოველთვის ეხმარებიან უბედურებაში ჩავარდნილთ. ცოლქმრულ ცხოვრებაში ისინი ენერგიულები (მომმარაგებლები და მომწოდებლები) არიან. ვერძი სუფთა გულის ადამიანია.

პლანეტა მარსის მუდმივი ძლიერი ენერგია, რითაც იგი მართავს ვერძს, უარყოფითად მოქმედებს მასზე, ვინაიდან ხშირად უქმნის ენერგიის ხარჯვის პირობებს. ვერძებმა თავშეუკავებლად იციან აფეთქება, ამიტომ, კარგი იქნება, თუ ისინი ოდნავ მაინც ჩაფიქრდებიან, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ვერძებმა დიდ ოსტატობას მიაღწიეს არასექსუალურ მანევრებში. მათი რომანტიკული არსება სრულყოფის „ვარდისფერ ფარდას" ქმნის იმ მომენტამდე, სანამ არ დაარწმუნებს თავის ყურადღების საგანს იმაში, რომ ის ნამდვილი რაინდია. მაგრამ სინამდვილეში, ამ პიროვნებას სურს იყოს ყურადღების ცენტრში და პირად ურთიერთობებშიც ირჩევს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მხარში ამოუდგებიან, მის ინტერესებს დაიცავენ სამსახურში თუ სასიყვარულო საქმეებში.

ახლო ურთიერთობებში და ცოლქმრულ ცხოვრებაში ჩვეულებრივ არ გრძნობენ სინდისის ქენჯნას იმის გამო, თუკი აქვთ ქორწინების გარეშე ურთიერთობა. მაგრამ არ შეიძლება შევქმნათ შთაბეჭდილება, რომ ვერძს არა აქვს დადებითი თვისებები პირად ცხოვრებაში. ვერძები ოჯახის მოყვარულები არიან, მათ უყვართ ფუფუნება, ისინი თავიანთ რჩეულებს ძვირფას ნივთებს უძღვნიან. ვერძები უმეტესად არ ცდილობენ იყოლიონ შვილები. მაგრამ, თუ ეს მაინც მოხდება, ისინი თავიანთი შვილების ამხანაგები და მრჩევლები ხდებიან, რადგან ვერძები დიდხანს ინარჩუნებენ თავიანთ ახალგაზრდულ შეხედულებებს, მათ კარგი ურთიერთობა აქვთ ახალ თაობასთან, მამებისა და შვილების პრობლემა მათთვის არ არსებობს.

ვერძები აქტიურები არიან სექსში. ეს ხალხი ცხელსისხლიანთა კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ ვინაიდან ისინი თავის საკუთარ „მეს" არასოდეს ივიწყებენ, წამოიჭრება საშიშროება ისეთ ურთიერთობებში გახვევისა, რომელიც სულიერი დაკმაყოფილებისაგან შორსაა.

მარსის მიერ მართული კაცები და ქალები თვითონვე ირჩევენ პარტნიორებს და შემდეგ „შეტევაზეც" გადადიან, ზოგჯერ მოკრძალებით, რიდით, ხოლო ხანდახან გაუფრთხილებლადაც. როგორ მოიქცევა ვერძი მამაკაცი ამ შემთხვევაში, საერთოდ და კერძოდ, ქალებთან სქესობრივი ურთიერთობის დროს, არავინ იცის, მაგრამ, ერთი რამ უტყუარია: მათ სურთ იყვნენ აგრესიულები, იყვნენ გამარჯვებულები. როგორ ასრულებენ ამ როლს და რა შედეგები მოჰყვება მას, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოქმედებას ახდენენ პლანეტები ინდივიდუალურ ჰოროსკოპზე.

ვერძები ჩემპიონები გახლავან სიყვარულის ეკონომიკაში. მათ კარგად იციან ფულის ფასი. კარგად ორგანიზებული გონების თვალით აკონტროლებენ თავიანთ ვნებებს. პროფესიული დამსახურებისათვის მაღალ ჯილდოებს ითხოვენ (მხედველობაში გვაქვს არა მარტო საქმიანი მხარე). ამავე ნიშნით დაბადებულებს ეკუთვნიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც, რაკი პირველად იღბლიანად იქორწინეს, მერე და მერე კიდევ და კიდევ ქორწინდებიან, თუკი ეს მათ შემდგომ წარმატებებში ხელს შეუწყობს.

თუ ვერძი შეიყვარეთ, იცოდეთ: ნუ მოაკლებთ სექსს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ელაქუცეთ, რადგან ვერძები მართავენ ჰოროსკოპის პირველ სახლს, რომელიც ეხება სხეულს. ვერძები ცხოვრობენ სხეულის სამყაროში. ისინი ფიზიკურად ამუშავებენ და ითვისებენ ყოველივეს, რაც კი ადამიანთა ურთიერთობის სფეროს ეხება. მათ უყვართ, როცა პირმოთნე სიტყვებს ეუბნებიან სქესობრივი აქტის დროს, ისინი, აგრეთვე, მომხრენი არიან სექსუალური ურთიერთობის მრავალმხრიობისა, რაც უწესოდ არ მიაჩნიათ.

29,5 წლის ვერძებისათვის ყველაზე შესაფერი პარტნიორები მოიძებნებიან ლომსა და მშვილდოსანს შორის. სამივე ცეცხლოვანი ნიშანია და ამ ასაკამდე ძალზე დაუოკებელნი არიან. 29,5 წელს გადააბიჯებენ თუ არა, თანდათან მომწიფებას იწყებენ და უფრო სოლიდური და დადინჯებულნი, ამასთან, მეტად პრაქტიკულნიც ხდებიან. ამ დროს მათ შეუძლიათ საერთოს გამონახვა კუროსა და ქალწულის ნიშნებთან. ეს ორი ნიშანი გამოირჩევა დიდი პრაქტიკულობით, ანუ სწორედ იმ თვისებებით, რაც ესოდენ აკლიათ ვერძებს წარმატების მისაღწევად. 29,5 ასაკის შემდეგ ვერძები ნაკლებად ეგოცენტრულები ხდებიან, სქესის, სიყვარულის კონცენტრირებისას თავიანთ ენერგიას მიმართავენ დიდძალი თანხისა და კეთილდღეობის მოსაპოვებლად. 41,5 წლის ასაკში, როცა ურანი თავის ნახევარ ციკლს ასრულებს ინდივიდუალურ ჰოროსკოპში, ვერძებმა უნდა აკონტროლონ თავი, ვინაიდან მრავალი უარყოფითი თვისება აქვთ, კერძოდ, შეუძლიათ საქმის მიტოვება შუა გზაზე. ამ პერიოდში ისინი კარგად ეგუებიან სასწორსა (მგრძნობიარების, გონიერების ნიშანი) და ტყუპებს (ინტელექტის ნიშანი).

ახალგაზრდობის წლებში (26 წლამდე) ვერძები, ისწრაფვიან თავისუფლებისა და სიამოვნებისაკენ. ცოლ-ქმრული ცხოვრება მშვენივრად წარიმართება, თუ ეს წყვილი გატაცებული იქნება ერთი მიზნით. ვერძებისათვის სხვადასხვა სიამოვნების, თავგადასავლებისა და სექსუალური შეთანაწყობის მისაღწევად საუკეთესო პერიოდია 29,5 წელი (თუ რა თქმა უნდა, შეუღლება არ არის იძულებითი). იგი დადინჯდება 29,5 წლის შემდეგ და მყარი ოჯახური ცხოვრების შესაძლებლობაც ამაღლდება. ვერძებო, ჩვენ, ასტროლოგები მოგმართავთ თქვენ:

გეშინოდეთ თქვენივე ძირითადი ცოდვისა — ეგოცენტრიზმისა, უფრთხილდით, აგრეთვე, ეგოიზმს, მოთოკეთ გადაჭარბებული სიამაყე! პირადი ურთიერთობების დროს მხოლოდ მატერიალური ჯილდოების გაღება როდი კმარა სიყვარულისა და ერთგულებისათვის, მიეცით თქვენს სატრფოებს უფლება დარჩნენ თავისთავადნი, შეინარჩუნონ საკუთარი სურვილები, მისწრაფებები და ორიგინალობა.

ჩაცმის კულტურა

თეთრი ფერი ძალიან მდიდრული და ელეგანტურია. იგი ყველა ასაკის ადამიანს დაამშვენებს, ბავშვები და ახალგაზრდები განსაკუთრებით საზეიმოდ გამოიყურებიან თეთრ ტანსაცმელში. შუა ხნის ქალებს თეთრი აახალგაზრდავებს. და იმდენად დიდებულია ეს ფერი, რომ მოხუცებულებსაც შვენით.

შავი ფერი ასევე ბრწყინვალეა, პატარა ბავშვების გარდა ყველა ასაკისათვის შესაფერია. ახალგაზრდებს უხდებათ შავი ფერის კაბები, შემოსაცმელები, ქვედატანები, მაისურები და სხვა. ელეგანტურია შავი ქურქები და ქუდები. რა შეედრება შავი ხავერდის კაბას, თუ მას თეთრი მაქმანებით გავაწყობთ. შავი ფერის ტანსაცმელი ყველა ფერით შეიძლება გაიწყოს, განსაკუთრებით ეხამება მას ოქროსფერი.

წითელი თავისთავად ძალიან ხალისიანი და ლამაზი ფერია. მაგრამ. პრეტენზიულია. ძალიან უხდება ბავშვებსა და ახალგაზრდებს ხანში შესულებისათვის კი რეკომენდებული ř არის თუმცა. წითელი ფერის ხაჭრით შეიძლება გაიწყოს მუქი ლურჯი ნ შავი კაბა თეთრი. შავი, ლურჯი მწვანე და რუხ ფერი ტანსაცმელს შვენის წითელი ხელჩანთა და ფეხსაცმელი.

ყვითელი ზოგს მოსწონს და ზოგს — არა. იგი ახალგაზრდებს უფრო უხდება, კარგად გამოიყურება ყვითლით გაწყობილი შავი კაბა. ყავისფერი უხდებათ თეთრკანიან, ოქროსფერთმიან ქალებს, შავგვრემანებმა ამ ფერის კაბა არც უნდა ჩაიცვან, რადგან იგი უერთდება სახის ფერს და არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. მათთვის უფრო დასაშვებია ყავისფერი ქვედატანი. ყავისფერი ბეწვის საყელო ძალიან უხდება შავ პალტოსა და ქურქს.

მწვანე გაზაფხულის ფერია და თვალი სასიამოვნოდ აღიქვამს. თუმცა, მასაც აქვს თავისი საიდუმლო. თუ ბავშვს აცვია ხასხასა მწვანე ტანსაცმელი — კარგია, მაგრამ, ხანშიშესულს იგი სრულიად არ უხდება, მას უფრო მუქი მწვანე ფერი შეეფერება. ხასხასა მწვანეს არ უყვარს გაწყობა, ხოლო მუქ მწვანეს დაამშვენებს ოქროსფერი, თეთრი, შავი ან თავისივე ფერის პრიალა ნაჭერი. ძალიან ლამაზია თეთრი მაქმანის საყელოთი ან ჟაბოთი გაწყობილი მწვანე ხავერდი. ნაზი ფერებია ჩალისა და რძიანი კაკაოს ფერი და ტანს ზედ ადნება. ეს ფერები ყველასთვის შესაფერია. განსაკუთრებით იმშვენებს ამ ფერის ტანსაცმელი ოქროსა და ყავისფერით გაწყობას.

ვარდისფერს განა შეედრება რომელიმე ფერი? ეს ხომ სილამაზის, ახალგაზრდობის ფერია. თუმცა, ვარდი სხვადასხვა ფერისაა, მაგრამ ყველა თბილია და სასიამოვნო, ქალებს განსაკუთრებით უხდებათ ეს ფერი. იგი იმდენად ლამაზია, რომ სხვა ფერის ჩარევას არ საჭიროებს.



თუ ზედატანია ვარდისფერი, მას დაამშვენებს შავი ქვედატანი. ვარდისფერს ხატავს შავი ან თეთრი კოპლები და ნახატები.

ცისფერზეც თითქმის იგივე უნდა ითქვას, რაც ვარდისფერზე. იგი განსაკუთრებით უხდება ოქროსფერთმიან ქალიშვილებს, ნაზსა და ჰაეროვანს ხდის მათ, მაგრამ, შავთმიან ქალებსაც ელეგანტობას ანიჭებს. მელნისფერი ანუ იისფერი, არ უნდა ავურიოთ იასამნისფერში. იისფერი ულამაზესი ფერია, მაგრამ, პრეტენზიულია და ყველას არ უხდება. ლურჯი დიდებული ფერია, უხდება ყველას. იგი მსუქნებს ელეგანტურს ხდის. ლურჯი ფერის ყველანაირი

# ქ ვენი ფერი









ტანსაცმელი ლამაზია — კაბა, პალტო, ლაბადა, ქვედა და ზედა ტანსაცმელი, ეფექტიანია ლურჯით გაწყობილი თეთრი კაბა, მოწონებით სარგებლობს ლურჯკოპლებიანი, ლურჯზოლებიანი, ლურჯი კუბოკრული ქსოვილი. ლურჯი ტანსაცმლის გასაწყობად დიდებულია თეთრი, ვარდისფერი, წითელი და ნაცრისფერი ნაჭერი. განსაკუთრებით უხდება თეთრი მაქმანის საყელო ან წითელი ცხვირსახოცი, ან კიდევ — ოქროსფერი ღილები.

ნაცრისფერი ლამაზი, ნაზი, კეთილშობილური ფერია. ბევრს უხდება და ყველა ასაკისათვის შესაფერია. ნაცრისფერ ტანსაცმელს კარგად ეხამება შავი ფერის ფეხსაცმელი და ხელჩანთა.

შინდისფერი ლამაზია. ამ ფერის ტანსაცმელს ძალიან უხდება შავი მაქმანებით გაწყობა, ანდა ოქროსფერი ან ვარდისფერი ნაჭრით. განსაკუთრებით ლამაზია შინდისფერი ატლასით გაწყობილი შინდისფერივე ხავერდი.

ჭრელი ქსოვილი კარგია ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისათვის, ხანშიშესულებმა გულისყურით უნდა შეარჩიონ იგი — არ უნდა იყოს ძალიან მყვირალა, არც გადაჭარბებულად ჭრელი. მათთვის უფრო სასურველია კოპლებიანი, წვრილი წინწკლებიანი, ზოლებიანი ან მომცრო ყვავილებიანი ქსოვილები. დიდი ყვავილებით მოხატული ქსოვილის კაბა თხელი და მაღალი ტანის ქალებს უხდებათ, მსუქნებს უფრო ადიდებს. მაღლებს და სუსტებს განივი ზოლებიანი ქსოვილი მოუხდებათ, მსუქნებს და დაბლებს სიგრძივი.

ამ რჩევებს თუ გავითვალისწინებთ და შესაფერ ქსოვილებს შევარჩევთ ყველანი ლამაზები ვიქნებით.

ჯულიეტა მინდვრიშვილი,
მხატვარი-მოდელიორი.



## სილამაზის გაკვეთილები

ოფლი, ცხიმი და მტვერი ავსებენ უჯრედებს. კანი იმის ნაცვლად, რომ განწორდეს და დაისვენოს, ჭკნება და ხმება. ძილის წინ გულმოდგინეთ დაიბანეთ პირი, გაიწმინდეთ კბილები, 10-20-ჯერ გადაისვით თმაზე ჯაგრისი. პუდრი და კრემი ახშობს კანს, თუ ის წინასწარ არ არის განმენდილი მტვრისა და ცხიმისაგან.




უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდეთ, რომ მტვრიან ჰაერზე ყოფნა და საერთოდ ჭუჭყის მოხვედრა, მეტად მავნებელია თვალებისათვის ისევე, როგორც სასუნთქი ორგანოებისათვის.

ბავშვებს უნდა ჩავაგონოთ რომ ჭუჭყიანი ხელები, დასვრილი სათამაშოები და სხვა ნივთები არ მიაკარონ თვალებს.

მოზრდილებმა თვალები ყოველ საღამოს უნდა ამოიბანონ ბორის სიმჟავის ხსნარით (1 ჩაის კოვზი, 1 ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალში). შეიძინეთ აფთიაქში შუშის პატარა აბაზანა თვალებისათვის.

თვალებისათვის მეტად სასარგებლოა სუფთა ჰაერზე ხანგრძლივად ყოფნა, მხედველობის გასამაგრებლად კარგია მწვანე საგნების ცქერა.

ხანგრძლივად, შეუსვენებლად კითხვა, წერა, კერვა და სხვა ამგვარი სამუშაო მავნებელია თვალებისათვის, აუცილებელია დროგამოშვებით შევწყვიტოთ მუშაობა და თვალები ცოტა ხნით მივაპყროთ შორს მდებარე არასხივმტყორცნელ, არაბრჭყვიალა საგნებს.

როგორც მკრთალი, ისე ძლიერი სინათლე მავნებელია მხედველობისათვის, უნდა ვერიდოთ, აგრეთვე ძლიერ სინათლიდან ძლიერ სიბნელეში გადასვლას და პირიქით.

წვრილი ნაბეჭდის ხანგრძლივად კითხვა მავნებელია თვალებისათვის.

მწოლიარე მდგომარეობაში კითხვა აქვეითებს მხედველობას.

## რას არ გაიგონებს ყური!

### „თეთრი მაგიის" სეანსი

მოსკოველებს ბედმა გაუღიმათ: მათ შესაძლებლობა მიეცათ კინოსაკონცერტო დარბაზში „ოქტიაბრი" ენახათ „თეთრი მაგიის" სეანსი, რომელიც უჩვენა სერაფიმა რუდენსკაიამ — ქვეყანაში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მკითხავმა და ექსტრასენსმა. — მრავალი წლის წინათ, — თქვა სერაფიმამ, — თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი გამომეცხადა, გადმომცა ლოცვის ტექსტი და მიბრძანა ხალხი განმეკურნა. ახლა მის განკარგულებას გულდასმით ვასრულებ. ყველა დაავადების ნახევარი წარმოიშობა უწმინდური ძალის შემწეობით. ბევრი ვერც კი ხვდება, რომ მათ უნარი შესწევთ ერთი უკულმართი შეხედვით ადამიანები დათარსონ — ბოროტება მოუტანონ. საზარელი „შავი მაგიის" თავიდან აცილება შეუძლებელია.

მაგრამ „თეთრი მაგიაც" არსებობს, რომელსაც სიკეთე მოაქვს. როგორც სერაფიმამ თქვა, იგი სხეულიდან არა მარტო ჭინკებს განდევნის, „გათვალვის" წინააღმდეგ შელოცვებიც ძალუძს. მას შეუძლია დასვას ასპროცენტიანი დიაგნოზი და განკურნოს სისხლის გათეთრება, ნევროზები, ასთმა, ფსორიოზი, სიბ-ლუე, მისი ასეთი უნარი ჯერ კიდევ 1982 წელს დაადასტურა კრემლის მედიკოსთა ჯგუფმა, რის შემდეგაც მკითხავის პაციენტი გახდა.... ლეონიდ ბრეჟნევი.



### ზოგან — „ბუნგი", ზოგან კი — ბუმი

ამერიკელმა ჯიმ მაუზმა მარშანდელი თავისივე რეკორდი დაამხო: წლეულს ერთდროულად მოსწია... 152 სიგარეტი. საინტერესოა, რომ ამ „ფოკუსის" ავტორი საერთოდ არ ეწევა თამბაქოს. პირიქით, მისი რეკორდი თავისებური პროტესტია დამღუპველი ჩვევის წინააღმდეგ.



### სპორტი და სიხარული

კანადელმა (ქალაქი ვანკუვერი) ფსიქიატრმა სუზან ბატმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა საოჯახო ცხოვრებაში სექსის როლის თაობაზე. სპეციალიზებული სპორტულ-სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომში „სექსუალური რეაგირება და ტრენინგი", ბატი ამტკიცებს, რომ ოჯახური წყვილების სექსს უნდა განიხილავდნენ, როგორც მარტივ ფიზიკურ ვარჯიშს, თავისებურ აერობიკას, მაგრამ, მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამთავრდება „რომანტიკული სიყვარულის პერიოდი". ეს პერიოდი, მეცნიერის რწმენით, გრძელდება სამიდან ხუთ წლამდე, რის შემდეგაც ბევრმა ოჯახმა უნდა გადასინჯოს ინტიმურ ცხოვრებაზე თავისი წარმოდგენა, რამდენადაც სექსუალური ურთიერთობა ხშირად უთანხმოებისა და განქორწინების მიზეზიც კი ხდება. ვნებამ და ემოციებმა, მიაჩნია ბატს, ადგილი უნდა დაუთმონ „ემოციური სიახლოვის, ამხანაგობისა და სექსუალური აქტიურობის ახალ ფორმებს". ყოველივე ამას იგი განსაზღვრავს სამი ცნებით: სპორტი, სიამოვნება და სიხარული. ბატი, რომელიც წარსულში კანადის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლებოდა, დარწმუნებულია, რომ სექსი აუცილებლად მონოგამური უნდა იყოს.

თუმცა „სპორტული სექსის" თეორიამ მისი ავტორი ვერ იხსნა ოჯახური დრამისაგან. მას ქმარი გაექცა.



## მფრინავი ექსტრასენსი



1965 წლის 3 სექტემბერს, ამერიკის ქალაქ ჰიუსტონის სამხრეთით შეამჩნიეს უცნობი მფრინავი ობიექტი (უმო), რომელიც მცირე სიმაღლეზე მიფრინავდა. ამ ობიექტის კაშკაშა არილისაგან გამოყოფილმა სითბოს ტალღამ ავტომანქანის სარკმელში გამოყოფილი მკლავი აუწვა ადგილობრივი შერიფის თანაშემწეს რ. პუდს. პოლიციელს, რომელიც გზატკეცილის საპატრულოდ იყო გამოსული თავის კოლეგა უ. მაფკოვსთან ერთად, ეშინოდა სისხლი არ მოსწამლოდა — სალოკ თითზე მას უკბინა პატარა ნიანგმა, რომელიც წინა დღეს შვილს უყიდა. უცნობი მფრინავი ობიექტისაგან საკმაოდ შეშინებულმა პოლიციელმა მახლობელ ქალაქ დემონამდე მიაღწია, სადაც პუდმა აღმოაჩინა, რომ თითიდან სისხლი აღარ სდიოდა, ხოლო შესიება გამქრალიყო. პოლიციელმა თითიდან სახვევი მოიხსნა და გაოცდა — ჭრილობა თითქმის შეხორცებულიყო.

უცნობი მფრინავი ობიექტის ზემოქმედებით ანალოგიური განკურნების შესახებ ჟურნალისტებს უამბო სოჭელმა ქალმა ნ. კირმოსმა. „1989 წელს ზაფხულში ფეხზე გადავისხი მთელი ჩაიდანი ქაფქაფა წყალი. მთელი წვივი დამიწყლულდა. მეთვრამეტე დღეს, როგორც ყოველთვის, დამწვარი ადგილი დავამუშავე და დასაძინებლად დავწექი გარეთ წვიმდა, ელავდა, ქუხდა, შიში დამეუფლა. ოთახის შუაში მაგიდაზე პატარა ტელევიზორი იდგა. როცა ძლიერად დაიქუხა და ოთახი უჩვეულო თვალის მომჭრელი სინათლით განათდა, თავზე საბანი წავიფარე. როცა გამოვიჭყიტე, ტელევიზორთან შევნიშნე კაცი და ქალი, რომლებსაც ბრჭყვიალა ლაბადები ეცვათ. მათ დიდი თვალები ჰქონდათ. კინკრიხოზე ედოთ პატარა შავი კოლოფი მაღლა აშვერილი სამი გამტარით. კოლოფიდან შუბლისკენ მიემართებოდა შავი ზოლი, ასეთივე ზოლი შემოვლებოდა შუბლს. ცხვირის ძვალზე მოჩანდა თეთრად მბრწყინავი სამაგრი, ხოლო ცხვირის წვერზე ორი პატარა მოელვარე ბურთულა. სახეებზე თითქოს მიფარებული ჰქონდათ გამჭვირვალე ნიღბები. თვალების გარშემო „მბრწყინავი რკალები". სოჭელ ქალს შიშისაგან გული წაუვიდა. როცა გონს მოეგო, გონებით გაიგო მათი ხმები: კაცმა უთხრა თანამოსაუბრეს, მას (მე) მძიმე დამწვრობა აქვს და მოუშუშეო. როცა უცნობი მიუახლოვდა, მას სითბო „ასდიოდა" და სოჭელს კვლავ გული წაუვიდა.

— როცა კვლავ გონს მოვეგე, — თქვა ბოლოს სოჭელმა ქალმა, ოთახში არავინ იყო. მახსოვს, სტუდენტობის დროს წავიკითხე სფერული ელვის შესახებ — რომ პატარა ოთახში მას შეუძლია გამოიწვიოს არნახული სახეები. მეც ასეთი შემთხვევა მეგონა. დილით, როცა ფეხიდან სახვევი მოვიხსენი, გავოცდი — ჭრილობა გამქრალიყო, ნაზი კანი გადაპკროდა, ფეხი მშრალი იყო. ყავარჯნით სიარული დავიწყე. მერე გამახსენდა, რომ იმ საღამოს ტელევიზორი მუშაობდა, მერე კი გამოირთო და მთელ თვეს ველარ ავამუშავე. ახლა მეორე პროგრამა მუშაობს, პირველი კი აქამდეც არაფერს უჩვენებს.

## „ლედი"

ნეტავ ვინ დაარქვა სახელი ამ მაღაზიას? დაუწყდება უკანასკნელი იმედი მათვალიერებს: როცა ფასებს გაიგებს. ბავშვის ჯინსი — 250 მანეთი ღირს, ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი — 500 მანეთი, ჩექმა — 1800 მანეთი.

ამას ჩვენი ხალხი რომ ვერ იყიდის, დარწმუნებული ვარ... ალბათ, ჩამოფრენილებს ელოდებიან და მათი ხათრით დაარქვეს ამ „იმედი" კომერციულ მაღაზიასაც. ხვალინდელი დღის იმედი ნუ მოგვიშალოს განგებამ. ღმერთო, მას ... როგორ ვიცხოვრო მთლად ... და გაძახლებულმა...



იუმორი




— როგორ გაძელით უძრაობის პერიოდში?

— უძრავად ყოფნისთვის ვის ეცალა, ბატონო ჩემო, დილით სამსახურში გავრბოდი, შემდეგ ბაზარში და მაღაზიებში. ოჯახშიც ყველაფერი მე ვიყავი: სარეცხი, პური, ნაგავი...

— კი, მაგრამ ნაგვის გადაყრა სხვას ვერ დააკისრეთ?

— მე კი დავაკისრე, სხვამ არ იკისრა, თვარა...

— იბრძოდით თუ არა უკეთესი მომავლისათვის?

— საბრძოლველად ვის ეცალა, ბატონო? პრესა, რადიო და ტელევიზია დღე და ღამე ერთსა და იგივეს გაიძახოდა: სამაგალითო ქვეყანაში ვცხოვრობთ. სადაცაა ამერიკას დავეწევით და გავუსწრებთ. შინაურ და გარეშე მტრებს ბოლოს მოვუღებთ, გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ. „დამპალ" კაპიტალისტურ ქვეყანაში თუ ვინმე გალიმებული დადიოდა ქუჩაში, რას წარმოვიდგენდი. იქით ცხვირს არავინ გვაყოფინებდა და ვისთან უნდა მებრძოლა, გამარჯვებულ პროლეტარიატთან თუ ხოჯოებთან?

— ნუთუ არასდროს გაგჩენიათ სურვილი, რომ გემოგზაურათ?

— რას ბრძანებთ, ბატონო, ვინც კი სურვილი გამოთქვა, ყველა სამშობლოს მოღალატედ მონათლეს და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახლაც არაა საზღვრები მთლად გახსნილი.

— რაზე ოცნებობთ ამჟამად?

— ზრდილობიან და საქმიან ახალგაზრდებზე, თავისუფალ და ბედნიერ საქართველოზე.

ლია სვანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## ხარჩო

ხარჩოსათვის შეარჩიეთ ძროხის მკერდის ნაწილი. დაჭერით ისე, რომ თითოეულ ულუფაზე 4-5 ნაჭერი მოხვდეს. დაჭრილი ხორცი ცივ წყალში გარეცხეთ, შესაფერის ქვაბში ჩაყარეთ, დაასხით წყალი (დაახლოებით 12 ჩაის ჭიქა კილოგრამ ხორცზე), ცეცხლზე შედგით, ადუღებამდე მოხადეთ ქაფი, ცოტა შავი პილპილი და რამდენიმე ცალი დაფნის ფოთოლი ჩაუმატეთ; ხორცის ნახევრად მოხარშვის შემდეგ წვენს სიმსუქნე მოხადეთ და იმაში წვრილად დაჭრილი ხახვი მოხრაკეთ. ხახვი რომ ცოტათი შეწითლდება, დაუმატეთ რამდენიმე სუფრის კოვზი პამიდვრის საწებელი და ერთად ჩაშუშეთ. ვიდრე ცხიმი ტომატის ფერს არ მიიღებს, შემდეგ ქვაბიდან ამოიღეთ მოხარშული ხორცი და ჩააწყეთ მოშუშულ ხახვში, რამდენიმე წუთს კვლავ მოშუშეთ და ისევ წვენში ჩაუშვით, რომელშიც ხორცის ამოლაგებისთანავე ჩააყარეთ ჩაის ჭიქა გადარჩეული ბრინჯი. ყველაფერი ერთად კიდევ 15 წუთს ადუღეთ. ჩაუმატეთ დანაყილი ნიორი, ქინძი და კამა.

ზაფხულში ტომატის ნაცვლად ხარჩოში ჩაყარეთ 100-150 გრამი ახალი ტყემალი ან შეაზავეთ ტყემლის საწებლით, ზამთარში კი შეგიძლიათ დამბალი ტყლაპი გამოიყენოთ. ამ სანელებლის დოზირება ძნელია, ყველაფერი აიღეთ თქვენი გემოვნების მიხედვით.

## ქათამი ფრანგულად

3 თავი ძველი ხახვი წვრილად დაჭერით, დაყარეთ ღრმა ტაფაზე, შუაში ჩაუდეთ 100 გრ კარაქი, ზემოდან დააწყვეთ ასო-ასო აჭრილი ქათამი, მოაყარეთ ცოტა შავი პილპილი და მარილი. ყოველივე ამას ზემოდან მოუწყვეთ ბრტყლად დაჭრილი კარტოფილი (10-12 ნაჭერი), კვლავ მოაყარეთ შავი პილპილი და მარილი, ნახევარი კილოგრამი გახეხილი სტაფილო, 3-4 კონა ახალი მწვანე ხახვი, ხმელი ქონდარი, კვლავ შავი პილპილი და მარილი, ზემოდან გადაასხით 1 ქილა მაიონეზი და შედგით საშუალო ცეცხლზე. როცა კარტოფილი ჩაიშუშება, კერძიც მზად იქნება.

## ლობიო ზეთით

500 გრამი ლობიოს მარცვლები გადაარჩიეთ, ცივ წყალში რამდენჯერმე გარეცხეთ, ქვაბში ჩაყარეთ და იმდენი წყალი დაასხით, რომ 4 თითზე ადგის. ასე გააჩერეთ 3-4 საათის განმავლობაში, რომ გალღვივდეს. შემდეგ შედგით ცეცხლზე და ხარშეთ, სანამ ლობიოს მარცვლები არ დარბილდება.

ცალკე ტაფაზე ჩაის ჭიქა ზეთში მოხრაკეთ წვრილად დაჭრილი 300 გრ ხახვი და მოხარშულ ლობიოს შეურიეთ. შეგიძლიათ წვრილად დაჭრილი მწვანილიც მოაყაროთ. მარილი გემოვნებით უყავით.

## ქიშმიშის „სილა" (სპარსული) ტკბილეული

მასალა: შაქარი — 300 გრამი, ქიშმიში — 200 გრამი, ნიგოზი — 100 გრამი, ატმის ან გარგარის კურკის გული — 200 გრამი, დანაყილი დარიჩინი — 1 ჩაის კოვზი.

### დამზადების წესი

300 გრამ შაქარს დაასხით 1,5 ჩაის ჭიქა წყალი და ადუღეთ ისე, რომ სქელი სიროფი გამოვიდეს. შემდეგ, ჩაყარეთ 200 გრამი ქიშმიში, წვრილად დაჭრილი 200 გრამი ატმის კურკის გული და 100 გრამი ნიგოზი, ადუღეთ კიდევ ნახევარ საათს, გადმოდგით, გააცივეთ, ცივ წყალში ამოვლებული ჩაის კოვზით ამოიღეთ და მრგვალი ფორმა მიეცით; ბოლოს ყოველი „ბურთულა" შაქართან ერთად დანაყილ დარიჩინში ამოავლეთ და ლანგარზე დაყარეთ.

ვისაც სურს, შეუძლია გარედან მოაყაროს წვრილად დაჭრილი მოხალული თხილი ან ნიგოზი.

## ლეღვის „სილა"

მზადდება ისევე, როგორც ქიშმიშის „სილა", ხოლო ქიშმიშის ნაცვლად სიროფში ჩაყარეთ დაჭრილი ლეღვის ჩირი და ატმის კურკის გულთან ერთად მოხარშეთ.

ლეღვის ჩირის ნაცვლად შეიძლება აიღოთ საკმაოდ წვრილად დაჭრილი ხურმის ან კარალიოკის ჩირი.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
99-98-71;
99-71-68

მასალები გადაეცა ასაწყობად 14. 01. 91 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.03.91 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 100 000. შეკვ. 108.

# უცხოური კალეიდოსკოპი





## „შენ რომ გენატრება, მას თუ ენატრები?..“

Ერთხელ, როგორღაც, მშვენიერი პოლონელი მსახიობი ბარბარა ბრილსკა (განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ელდარ რიაზანოვის სურათში „ბედის ირონია ანუ გაამოთ“ გერმანიაში მუშაობდა ერთ-ერთი ფილმის გადაღებაზე. მსახიობი (ან იქნებ ქალი) ძალიან მოეწონა მეზობელ პავილიონში მომუშავე რეჟისორს და თავის ფილმში მიიწვია, თან, სპეციალურად მისთვის მოიფიქრა ეპიზოდი: სასიყვარულო ამბავი, სადაც ბარბარას შიშველს უნდა ეთამაშა. მსახიობი დათანხმდა, მხოლოდ ერთი პირობით: მას თვითონ უნდა შეერჩია პარტნიორი, და... რობერტ რედფორდი დაასახელა. „ეს შეუძლებელია“ — აღმოხდა გაოგნებულ რეჟისორს. პასუხად კი ბარბარამ მოკლედ მოუჭრა: „ან ის, ან არავინ, რედფორდი ჩემი კერპია“. ამის შემდეგ ეპიზოდს, როგორც მსახიობი ფიქრობდა, გადაღება არ ეწერა.

პრესის მასალების მიხედვით მოამზადა
**ლია ენუქიძემ**

## ოდესმე, ოციოდე წლის შემდეგ...

Რეჟისორ სტივენ სპილბერგსა და 50-60-იანი წლების ბრწყინვალე ვარსკვლავს ოდრი ჰეპბერნს („რომაული არდადეგები“, „ომი და მშვიდობა“, „ჩემი მშვენიერი ლედი“) კინომოყვარულთა წინაშე წარდგენა არ სჭირდებათ. ამერიკელი მაყურებელი მალე იხილავს ამ მომხიბლავი მსახიობისა და სახელგანთქმული რეჟისორის ახალ ნამუშევარს. ეს გახლავთ ცაზე უზომოდ შეყვარებული მფრინავის ლირიკული თავგადასავალი. იგი იძულებულია ჩაიკლას ეს სიყვარული და დაეშვას მიწაზე (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). სპილბერგის ამ ახალ სურათში, რომლის სახელწოდებაა „სულ მუდამ“, ოდრი ჰეპბერნს პარტნიორობას უწევს რიჩარდ დრეიფუსი.

ვიქონიოთ იმედი, რომ ოდესმე, ოციოდე წლის შემდეგ (როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ჩვენთან), ჩვენც მოგვეცემა ამ სურათის ნახვის შესაძლებლობა.



## „დღეს იგი უფრო მშვენიერია“

Სოფი ლორენი—ნდომის აღმძვრელი, მაცდური ქალი, მისი უზადო სხეული, საახალწლო ნაძვის ხესავით მუდამ გიზიდავს. დღეს იგი თავისებურად უფრო მშვენიერია, ვიდრე ახალგაზრდობაში, ასეთი აზრის არის ამ მომხიბლავ მსახიობ ქალზე იტალიელი რეჟისორი ლინა ვერტმიულერი. მის ახალ სურათში „შაბათი, კვირა, ორშაბათი“ სოფი ლორენი ასახიერებს უკვე ასაკოვანი ოჯახის დედის როლს, რომელიც სრულიად მოულოდნელად და თავისდა გასაკვირველად აღმოაჩენს, რომ ჯერ კიდევ მოსწონთ მამაკაცებს...


6173/48